პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი ერთ ფერადი ჩირველი

ფოცა

ფაბათი, დეკემ. 24. 1921 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 24 ყოველ კვირეული ორგანო. 24

რედაქციის მისამართი:

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ეკანგულოვის ქ. № 1.

(ეოფ—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6-90.

რედაქცია დია: ყოველ დღე დილის 9 ს.—2 საათამდე.

რედაქტორის ნახვა შეიძლება 12 ს.—2 საათამდე.

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი № 83

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა საყოველთაო შრომის ბეგარის შესახებ.

საწარმოო ძალთა ასაღორძინებლად, სოფლის მეურნეობისა, მრეწველობისა, ტრანსპორტისა და სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგის აღსადგენად, ამავე მეურნეობის, რაც შეიძლება სასწრაფოდ, მუშა-ხელით უზრუნველსაყოფელად ერთი მთლიანი სამეურნეო გეგმის მიხედვით, რის განხორციელებაც მოითხოვს, რომ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყოველი შრომის უნარის მქონე მოქალაქე ჩაებას საზოგადოებრივ მუშაობაში სოციალისტური საზოგადოების ინტერესისათვის, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს შრომის ბეგარა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისათვის.

2. შრომის ბეგარის წესით უნდა განხორციელდეს:

ა) ყოველმხრივი და სრული აღნუსხვა შრომის უნარის მქონე და შრომა ვალდებულ მცხოვრებთა და აგრეთვე სპეციალური აღნუსხვა ტექნიკურ ძალებისა;

ბ) საზოგადოებრივ სასარგებლო სამუშაოზე მუდმივი და საყოველთაო გაწვევა იმ პირთა, რომელნიც ასეთ სამუშაოს არ ეწევიან; აგრეთვე შრომის ყოველგვარ დეზერტირობასთან ბრძოლის ორგანიზაცია და წარმოება.

გ) შრომის მობილიზაციის წესისამებრ გაწვევა და გადაყვანა სახელმწიფო წარმოების, დაწესებულების და მეურნეობის სამუშაოზე იმ პირთა ვინც სოფლის მეურნეობის და ხელოსნურ-შინამრეწველობის წარმოებაში მუშაობას ეწევა.

დ) მომეცადინე მუშა-ხელის აუცილებელი გადანაწილება.

ვ) მშრომელი მოსახლეობისა და შარა გზით ტვირთზიდვის საშუალებათა, მუდმივი მუშაობის გარეშე, ფაქტიური გამოყენება, მათი საქმიანობის ხასიათის მიხედვით შრომის სხვა და სხვა ბეგარის ერთდროულად ან პერიოდულად შესასრულებლად, როგორიც არის მაგალითად ბეგარა: გზისა, მელიორაციისა, სათბობისა შარაგზით ტვირთზიდვისა, სოფლის მეურნეობისა, სათოვლო, სასურსათო, საზოგადოებრივ უბედურებასთან ბრძოლისა, (ტყის ხანძარი, წყალდიდობა და სხვა) წითელარმიელთა და შრომის მობილიზაციით გაწვეულ პირთა ოჯახებისათვის სასოფლო-სამეურნეო დახმარების აღმოჩენისა და სხვ. რამ ამისთანა.

ზ) უშუალოთ შედგენა და გამოყენება შრომის არმიისა და შრომის ნაწილებისა.

ზ) წითელარმიის და ფლოტის მუშა-ხელის გამოყენება და შეძლებისამებრ წითელარმიიდან საჭირო კვალიფიციურ მუშების გამოყვანა.

თ) იძულებითი მუშაობის ბანაკში შეპყრობილთა და სხვა ადგილას დაპატიმრებულ პირთა გამოყენება მუშაობისათვის.

ი) საზღვარ-გარეთიდან მუშა-ძალის ემიგრაციისა და რემიგრაციის ორგანიზაცია.

3) შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ-შრომის განყოფილებათ დაევალება ზემოაღნიშნულის განხორციელება და ამ მიზნით უფლება ეძლევა:

ა) მოახდინოს სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მუშა-ხელის სისტემატიური და მუდმივი აღნუსხვა, და აგრეთვე შეადგინოს გეგმა მუშახელის მომარაგებისა რესპუბლიკის მეურნეობის სხვა და სხვა დარგისათვის.

ბ) შეიტანოს უმაღლეს ორგანოებში შრომის მობილიზაციისა და შრომის სხვა და სხვა ბეგარის პროექტები და განახორციელოს ეს უკანასკნელი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სამხედრო უწყების აპარატების მეშვეობით.

ვ) შეიმუშაოს წესი შრომის ბეგარისა და შრომის მობილიზაციისაგან დროებით ან სამუდამოდ განთავისუფლებისა და აგრეთვე შრომის ვალდებულთა ერთი სამუშაოდან მეორეზე გადაყვანგადმოყვანისა, თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ გამოცემული წესებისა.

4. უფლება ეძლევა შრომის სახალხო კომისარიატს და შრომის სამაზრო განყოფილებათ მისცენ ხოლმე დისციპლინარულ საამხანაგო სასამართლოს და რევოლიუციონური ტრიბუნალის სამართალში შრომის დეზერტირობის დამნაშავე პირნი და აგრეთვე განუჩინონ მათ სასჯელი ადმინისტრატიული წესით.

შენიშვნა: დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატისა და შრომის სათანადო განყოფილებათ აწარმოონ სწორი და მიზანშეწონილი შეფარდება დამსჯელ ღონისძიებათა შრომის დეზერტირობისათვის მათ დამფარველთა და დამხმარეთათვის, იმ პირობით, რომ ადმინისტრატიული სასჯელის დადება შეთანხმებულ იქნეს პროფესიონალურ კავშირთა მიერ მიღებულ ღონისძიებასთან, ხოლო კერძოდ, რომ შრომის დეზერტირობასთან მებრძოლი კომისიის მოქმედებას მჭირდო და უშუალო კავშირი ჰქონდეს დისციპლინარულ საამხანაგო სასამართლოს მუშაობასთან.

5. შრომის დეზერტირობათ ჩაითვლება:

ა) თავის გარიდება შრომის მობილიზაციის გამომცხადებელი ან გამტარებელი ორგანოების მიერ დადგენილი აღნუსხვისა და რეგისტრაციისაგან.

ბ) თავის გარიდება სამუშაოზე გამოცხადებისაგან იმ პირის მიერ, რომელსაც საამისო დანიშნულება მიუღია.

გ) თვითნებობით დატოვება მუშაობისა ან სამსახურისა და თვითებობით გადასვლა დაწესებულებისა და წარმოების სამსახურში.

დ) თავის გარიდება მუშა-ხელის აღნუსხვა-განაწილების ორგანოებში გამოცხადებისაგან მუშაობისა და სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ.

ე) ყოველგვარი თავის გარიდება შრომის ბეგარისაგან დანაშაულებრივი ან საძრახისი გზით, როგორიც არის მაგალითად: ყალბი დოკუმენტების წარდგენა, ფიქტიური თანამდებობის დაკავება, ფიქტიური წარვლინება, ავადმყოფობის მომიზეზება (სიმულიაცია), შრომის იარაღისა და მასალის გაფუჭების განზრახვა და სხვა რამ ამისთანა.

6. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ ორგანოებს უფლება აქვთ დასდონ ადმინისტრატიულის წესით შრომის დეზერტირთ, მათ დამფარველთ, მიმშველ და დამხმარეთ შემდეგი სასჯელი:

ა) შავს დაფაზე აღნიშვნა.

ბ) ჯარიმა, რის რაოდენობაც ბეგარის წესით შესასრულებელ სამუშაოს თავისუფალი ხელფასის ერთი ხუთად ღირებულებას არ უნდა აღემატებოდეს.

გ) დანიშვნა ზედმეტ ან სხვა რიგს გარეშე სამუშაოზე ორ კვირაზე არა უმეტესი ვადით.

შენიშვნა: აღსრულება კომისიის დადგენილებისა სასჯელის დადების შესახებ დაევალება რევოლიუციონური კომიტეტის მმართველობის განყოფილებას.

შენიშვნა: კომისიების წარმოებაში აღძრული საქმეები, რაც საამხანაგო დისციპლინარულ სასამართლოს, სახალხო სასამართლოს და რევოლიუციონური ტრიბუნალის გამგებლობის საგანს შეადგენს, აგრეთვე ის საქმეები, თანამდებობის პირთა დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ, რომელთაც კავშირი აქვთ შრომის დეზერტირობასთან, გამოძიების აქტებითურთ.

7. შრომის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა ამა დეკრეტის განმარტებისა და განვითარებისთვის გამოსცენ დადგენილებანი და ინსტრუქციები.

3. ამა დეკრეტის გამოქვეყნებისათანავე გაუქმებულად ჩაითვალოს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 69 №-ის დეკრეტი და 70 №-რის დადგენილება.

9. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 8.
თბილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 108.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის ნიხრის გადიდების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1921 წლის ივლისის 25-ს თარიღითა და 50 №-ით გამოცემულ დადგენილებასთან დართული ნიხრის შესაცვლელად,—დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის ნიხრი.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. კომიტეტის თავმჯდ. ბ. **მდივანი.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი **ა. ყამარაული.**

რევ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბერის 5.
ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 108.
დ ა ნ ა რ თ ი

ნ ი ხ რ ი

ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციისა

გასაგზავნი კორესპ. სახელწოდება.	გადასახადის რაოდენობა მანეთობით
1. ბ ა ნ დ ე რ ო ლ ე ბ ი:	
ადგილობრივი:	
ა) ბეჭდვითი ნაწარმოები გარდა კატალოგებისა და პრეისკურანტებისა და	
ბ) საქმის ქაღალდები	ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწილზე 500 მან.
სხვაგან გასაგზავნი:	
ა) ისეთივე ბანდეროლები	ყოველ 30 გრ. ან მის ნაწილზე 1000 მან.
ბ) საქონლის ნიმუშები	ყოველ 30 გრ. ან მის ნაწილზე 2000 მან.
შენიშვნა: კატალოგები და პრეისკურანტები იგზავნება, როგორც საქონლის ნიმუშები.	
2. დახურული უბრალო წერილები:	
ა) ადგილობრივი	ყოველ 15 გრ. ან მის ნაწილზე 1000 მან.
ბ) სხვაგან გასაგზავნი	ყოველ 15 გრ. ან მის ნაწილზე 1500 მან.
3. მისალოცი სადარბაზო ბარათები:	
ა) ადგილობრივი და	
ბ) სხვაგან გასაგზავნი	წონის ფასი იგივე, როგორც დახურული უბრალო წერილისა.
4. უბრალო ღია წერილები:	
ა) ადგილობრივი	500 მან., პასუხით ორჯერ მეტი.
ბ) სხვაგან გასაგზავნი	1000 მან., პასუხით ორჯერ მეტი.
5. ნაწილობრივან სრულიად ფასგადუხდ. წერილები	წონის ფასი ერთი ორად მეტი.
6. შეკვეთილი წერილები	წონის ფასი იგივე, რაც უბრალო წერილისათვის, შესაკვეთი კი 3.500 მან.
7. ფასიანი წერილები:	
ა) ადგილობრივი	წონის ფასი იგივე, როგორც ადგილობრივ უბრალო წერილისა, დასაზღვევი ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 50 მან.
ბ) სხვაგან გასაგზავნი	წონის ფასი იგივე, როგორც სხვაგან გასაგზავნი უბრალო წერილისა, დასაზღვევი კი ყოველ 1000 მანეთზე ან მის ნაწილზე 50 მან.
8. ფულიანი წერილები:	

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაგზავნი კორესპ. სახელწოდება.	გადასახადის რაოდენობა მანეთობით.
ა) ადგილობრივი	წონის ფასი ყოველ 15 გრამზე ან მის ნაწილზე 1000 მ., დასაზღვევი—ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე—100 მან.
ბ) სხვაგან გასაგზავნი	წონის ფასი ყოველ 15 გრამზე ან მის ნაწილზე—1500 მ., დასაზღვევი—ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 200 მან.

შენიშვნა: თითო ფულიან წერილში დაშვებულია გადაიგზავნოს არა უმეტეს 100.000 მანეთისა.

9. ფულის ბარათები	ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 50 მან.

შენიშვნა: ერთი ბლანკით შეიძლება გაიგზავნოს 500,000 მან. მხოლოდ სახაზინო დაწესებულებებისათვის გასაგზავნი თანხა განუსაზღვრელია.

10. გაგზავნილის მიღების შეტყობინება:	
ა) ადგილობრივი კორესპონდენციის . . .	1000 მან.
ბ) სხვაგან გასაგზავნი	1500 მან.
11. გაგზავნილ კორესპ. მოძებნა, შეჩერება, დაბრუნება, მისამართის გამოცვლის განცხადება:	
ა) ადგილობრივი კორესპონდენციის . .	თვითეულ განაგზავნზე 2000 მან.
ბ) სხვაგან გასაგზავნი	თვითეულ განაგზავნზე 3000 მან.
12. საბონენტო უჯრებით სარგებლობა	ქ. ტფილისში და ბათუმში 1 უჯრა 20,000 მან., ქუთაისში და ფოთში 15,000 მან., დანარჩენ ადგილებში 10,000 მან.
13. ყოველგვარ კორესპ. მისაღები ბილეთები . .	ყველგან 10,000 მან.
14. შელავათიან კორესპონდენციაში კერძო ხასიათის მიმოწერის აღმოჩენა	თვითეულ გადასაგზავნზე დამნაშავეთ გადახდეთ წონის ფასი სამჯერ მეტი ჩვეულებრივი წერილისა და მიეცეს პასუხისგებაში როგორც ბოროტმოქმედების ჩადენისათვის სამსახურში.
15. ჟურნალ-გაზეთების გასაგზავნი	რედაქციებს გადახდეს 20-პროც. გაზეთ-ჟურნალის თვიური ღირებულებისა (თითო ნომერზე ცალკე)

შენიშვნა: მთავრობის მიერ გამოცემული ოფიციალური ჟურნალი „მოამბე" მიიღება გასაგზავნად უფასოდ.

16. ამანათები:	
ა) უფასო	საქართველოს ტერიტორიის ყველა მანძილზე 2 გირ.-დე 3000 მ.; 2-დან 7-დე 6000 მ.; 7-დან 12 გირ.-დე 10000 მ, 12 გირ. ზევით თითო გირ.-ზედ 1000 მ.
ბ) ფასიანი	წონის ფასი, რაც უფასო ამანათისათვის და დასაზღვევი, როგორც ფასიანი წერილისათვის ე. ი. ყოველ 1000 მან. ან მის ნაწილზე 50 მან.
17. პლომბის ან ლუქის ბეჭდის დასმა	ამანათზე ლუქის ბეჭდის დასმისათვის ან პლომბის დადებისათვის 500 მან., წერილების დალუქვისათვის 500 მან.
18. ამანათების შენახვა	ერთი დღე და ღამე 5000 მან.

შენიშვნა: ამანათის შესანახად დაწესებული ფასი გადახდებათ მიმღებთ სამი დღისა და ღამის შემდეგ უწყების ჩაბარებისა, თუ ის ქალაქის ან სოფლის ფარგლებში სცხოვრობს. ანგარიშში არ მიიღება უწყების ჩაბარების დღის მომდევნო დიდი უქმე დღე, როდესაც საფოსტო ოპერაციების წარმოება შეჩერებულია, იმ შემთხვევაში, თუ ამანათის მიმღები ქალაქ გარეთ სცხოვრობს, სადაც უწყებას თვით ფოსტა არ აბარებს, შესანახი ქირა გადახდებათ მიმღებთ ორი კვირის შემდეგ, დღიდან ამანათის დაწესებულებაში მოსვლისა.

19. ფასდადებული კორესპონდენცია	ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 50 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაგზავნი კორესპ. სახელწოდება.	გადასახადის რაოდენობა მანეთობით.
20. ტ ე ლ ე გ რ ა მ ე ბ ი:	
ა) ადგილობრივი	სიტყვა 1000 მან.
ბ) სხვაგან გადასაცემი	საქართველოს ტერიტორიაზე სიტყვა 2000 მ.; სომ. ხეთთან, ადერბეიჯანთან და მთიელთა რესპუბ-ლიკასთან—3000 მ.; რუსეთთან 5000 მან.
გ) სასწრაფო დეპეში	ერთი-სამად მეტი, ვიდრე უბრალო დეპეშისათვის.
დ) უბრალო დეპეშის გადაცემა შემოწმებით.	ფასი ერთი-ორად მეტი ვიდრე უბრალო დეპეშისათ.
ე) სასწრაფო დეპეშის გადაცემა შემოწმებით.	ფასი ერთი-ოთხად მეტი ვიდრე უბრალო დეპეშისათ.
ვ) რამოდენიმე მისამართიანი დეპეში . . .	ყოველ 50 სიტყვაზე ან მის ნაწილზე 5000 მან., მისამართების რაოდენობის მიხედვით, პირველი მისამართი ანგარიშში არ ჩაითვლება.
ზ) დეპეშების მიღების შეტყობინება ტელეგრაფით	ათ სიტყვიანი უბრალო ან სასწრაფო დეპეშის ფასი
თ) დეპეშის ტელეფონით გადაცემა	სიტყვა 500 მან.
ი) სააგენტო დეპეშები	სიტყვა ჩვეულებრივისა 2000 მ., ცირკულ, 5000 მ.
კ) ფულის ბარათი დეპეშით	გარდა საფოსტო ხარჯებისა 500,000 მ. ოც სიტ-ყვიანი დეპეშის ფასი—ზევით 25 სიტყვიანი დეპეშის ფასი.
ლ) დეპეშებს, რომელსაც გზავნის ადგილობ-რივი ბანკი, მისი განყოფილება, ხაზინა და ყოველივე საკრედიტო დაწესებულებანი მესამე პირთათვის, ფულის ან რაიმე ფასეულობის გაცემისათვის	სიტყვების მიხედვით სასწრაფო დეპეშის ფასი.
მ) შიკრიკით დეპეშის გაგზავნა ტელეგრაფის სადგურის გარეშე	თვითეულ ვერსზე 5000 მან.
ნ) პირობითი ან შემოკლებული მისამართით სარგებლობა	კერძო პირთათვის 50,000 მ., საბჭოთა დაწესებუ-ლება თავისუფალია ამ გადასახადისაგან.
ო) შეჩერება ან დაბრუნება გადაცემულ დეპე-შისა გამგზავნელის განცხადების თანახმად.	თუ დეპეშა სრულებით არ გადაცემულა, გამგზავ-ნელს დაუბრუნდეს მისი საფასური ერთი მე-ოთხედის გამოკლებით. სასწრაფო დეპეშებისა-თვისაც დაეჭიროს ისე, როგორც უბრალო დეპეშისათვის. თუ დეპეშა აპარატით გადაცე-მულია, მისი შეჩერებისათვის გამგზავნელს გა-დახდეს სასამსახურო დეპეშის ფასი და პირ-ვანდელი დეპეშის ფასი არ დაუბრუნდეს.
21. კერძოთ დამზადებული ბლანკები:	
საფულისბარათო	500 მან.
მიმდევნო მისამართი	500 მან.
იგივე ფას-დადებით	1000 მან.
ლია წერილები	250 მან.
იგივე პასუხით	500 მან.
მიღების შესატყობინებელი ბლანკი	250 მან.

შენიშვნა: საბჭოთა დაწესებულებებს სასამსახურო ხასიათის დეპეშებში გადახდებათ ერთი მეოთ-ხედი ჩვეულებრივი ღირებულებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რესპუბ. რევ. კომიტეტის თავმჯ. **ბ. მდივანი.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი **ა. ყამარაული.**

1921 წ. დეკემბრის 5.
ტფილისი.—სასახლე.

რევოლ. კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

დადგენილება № 109.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა. ტელეფონის დადგმა-მოწყობის და გადატან-გადმოტანის ნიხრის გადიდების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1921 წლის ივლისის 25 ს თარიღითა და 49 №-ით გამოცემულ დადგენილებასთან დართული ნიხრის შესაცვლელად, დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ნიხრი აბონენტებისათვის ტელეფონის დადგმა-მოწყობისა და ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადატან-გადმოტანისა.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რესპუბ. რევ.
კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო
კომისარი **ა. ყამარაული.**

რევოლ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 5.
ტფილისი.—სასახლე.

დადგენილ. № 109

დ ა ნ ა რ თ ი.

ნ ი ხ რ ი

აბონენტებისათვის ტელეფონის დადგმა-მოწყობისა და ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადატან-გადმოტანისა.

№№ რიგ.	გადასახადის საგანი	გადასახადის რაოდენობა მანეთობით.
1	ტელეფონის აპარატის დადგმა-მოწყობა მიუხედავად მანძილისა, კერძო პირთათვის	500.000
	სავაჭრო წარმოებათათვის	1.000.000
2	დამატებითი ტელეფონის დადგმა-მოწყობა ერთ და იმავე შენობაში იმავე ან სხვა ოთახში კერძო პირთათვის	200.000
	სავაჭრო წარმოებათათვის . . .	500.000
3	ტელეფონის აპარატის ერთი ბინიდან მეორეში გადატანა ერთსა და იმავე შენობაში და სართულში, როგორც დამატებითი ტელეფონისა კერძო პირთათვის . .	200.000
	სავაჭრო წარმოებთათვის	500.000
4	ტელეფონის აპარატის გადატანა ერთი სართულიდან მეორე სართულში ან სხვა ჭუჩაზე, როგორც ახალი აპარატის მოწყობა-დადგმისათვის კერძო პირთათვის .	500.000
	სავაჭრო წარმოებათათვის	1.000.000
5	საბჭოთა დაწესებულებებში და კერძო ბინაზე ტელეფონით სარგებლობისათვის თვეში	250.000
6	ტელეფონით სარგებლობისათვის სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა, ბანკების, ჭარხნების, სასტუმროების და სხვა ამგვარ დაწესებულებათა მიერ 1 თვეს . .	500.000
7	დაბატებითი ზარის დადგმა კერძო პირთათვის	50.000
	სავაჭრო წარმოებათათვის	200.000
8	დამატებითი ყურმილების გაკეთება კერძო პირთათვის	50.000
	სავაჭრო წარმოებათათვის	100.000
9	გადამბირის დადგმა კერძო პირთათვის	100.000
	სავაჭრო წარმოებათათვის	200.000
10	ტელეფონით სარგებლობა ისეთ ბინაზე, რომელიც ცენტრალურ სადგურიდან დაშორებულია ორ ვერსზე მეტი გარდა ჩვეულებრივი თვიური ფასისა თვითეული 100 საჟენისა ან მისი ნაწილისათვის	100.000

საქ. სოც. საბჭ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო
კომისარი **ა. ყამარაული.**

რევოლიუციონური კომიტეტის
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 5.
ტფილისი.—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 110

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის ნიხრის გადიდების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1921 წლ. ივნისის 25-ს თარიღითა და 48 №-ით გამოცემულ დადგენილებასთან დართული ნიხრის შესაცვლელად,—დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ნიხრი საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის სარგებლობისათვის.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო
კომისარი **ა. ყამარაული**

რევ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., დეკემბრის 5.
ტფილისი—სასახლე.

დადგენ. № 110
დ ა ნ ა რ თ ი

ნ ი ხ რ ი

საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის სარგებლობისათვის.

№№ რიგ.	გადასახადის საგანი	გადასახადის რაოდენობა მანეთობით.
1	საქალაქთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისათვის რესპუბლიკის ფარგლებში პირველ 3 წუთს .	15.000
2	3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისთვის ყოველ ზედმეტ წუთსა ან მისი ნაწილზე დამატებით	6.000
3	დავალება აბონენტის გამოსაძახებლად	6.000
4	საპასუხო შეკვეთა	10.000
5	ქ. ბაქოსთან საერთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისთვის პირველ 3 წუთში	50.000
6	3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისთვის ყოველ ზედმეტ წუთზე ან მის ნაწილზე დამატებით . . .	25.000
7	ქ. განჯასთან საქალაქთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისთვის თვითეულ პირველ 3 წუთზე . .	30.000
8	3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისთვის თითო წუთზე ან მის ნაწილზე	15.000
9	დავალება აბონენტების გამოსაძახებლად ორივე ქალაქისათვის	10.000
10	საპასუხო დავალება	20.000
11	სასწრაფო ლაპარაკისთვის და სასწრაფო შეკვეთისთვის გადასახადი, როგორც საქალაქთაშორისო, ისე საერთაშორისო ტელეფონის გამოერთმევა ერთი საათად ჩვეულებრივთან შედარებით. ავანსი განისაზღვრება 500.000 მან.	
12	შეკვეთისათვის შემოტანილი ფული არავითარ შემთხვევაში არ დაებრუნებათ.	

შენიშვნა: თუ მთხოვნელები ბევრი იქნება, ლაპარაკის დრო განისაზღვროს 10 წუთით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო
კომისარი **ა. ყამარაული.**

რევოლიუც. კომიტეტის
მდივანი **ალ. სალარიძე**

1921 წ. დეკემბრის 5.
ტფილისი.—სასახლე

დადგენილება № 111

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა—საგანგებო საფილტრაციო სამეულის დაარსების შესახებ.

ქ. ტფილისის მცხოვრებთა გრიცხვის ზრდამ, რომელმაც მწვავედ და მკაცრად წარმოშვა საკითხი ბინების და სურსათის კრიზისისა და ხელი შეუწყო ყოველგვარი ეპიდემიის გავრცელებას, გამოიწვია უკვე მიღებული მთელი რიგი იმ ღონისძიებისა, რომელიც მიმართულია ამა კრიზისის შესამსუბუქებლად და საერთოდ ქ. ტფილისის განსატვირთავად. რათა მიღებულმა ღონისძიებამ მიზანს მიაღწიოს და თავიდან აცილებულ იქნეს ამ ბოლო ხნის უშველებელი ზრდა მცხოვრებთა რაოდენობისა ქ. ტფილისში შემთხვევითი ელემენტების გამო, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან დაარსდეს საგანგებო საფილტრაციო სამეული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლისა, ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის შინაგანი მმართველობის განყოფილების გამგისა ან მისი თანაშემწის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლისაგან. სამეულს დაევალება რეგისტრაცია იმ პირთა, ვინც მოისურვებს ტფილისში ცხოვრებას და, მინიჭება ტფილისში ცხოვრების უფლებისა მსურველთათვის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს.

სამეულის უდასტურად საბჭოთა ხელისუფლების არც ერთ ორგანოს ნება არა აქვს ქალაქში შემოხიზნულთა დაკმაყოფილებისა ბინით, სურსათით და სხვ.

შენიშვნა: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი შედის საგანგებო საფილტრაციო სამეულში თავმჯდომარის უფლებით.

2. ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის საბინაო ქვე-განყოფილებას და ყოველგვარ საბინაო სხვა ორგანოს სასტიკად აეკრძალება, უფროსის პირადი პასუხისმგებლობით მთხოვნელთათვის ბინების მიცემა, თვითნიერ საგანგებო საფილტრაციო სამეულის წინასწარი ნებართვის და განხილვისა.

3. საბჭოთა სასურსათო ორგანოებს ქ. ტფილისში ახლად ჩამოსულ პირთა სურსათით დაკმაყოფილება შეუძლიანთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ ექნებათ სათანადო დასტური საგანგებო საფილტრაციო სამეულისა.

4. მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო კომისარიატებს დაევალებათ ტფილისში ჩამოსულ პირთა სახლის დავთრებში ჩაწერის დროს მოითხოვონ მათგან ნებართვა საგანგებო სამეულისა ტფილისში საცხოვრებლად და უკეთუ ასეთი ნებართვა არ აღმოაჩნდებათ,—გაგზავნონ საგანგებო სამეულში მათი პირადი სარეგისტრაციო ბარათები.

5. ის პირნი, რომელნიც წარმოვლენილნი არიან ქალაქ ტფილისს პარტიულ ორგანოებისაგან და მანდატებზე ვიზა აქვთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანოებისა, აგრეთვე ექვემდებარებიან საფილტრაციო სამეულს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ამ პირთა მანდატები გატარებულ უნდა იქნეს საფილტრაციო სამეულში მექანიკურად, დაუყონებლივ.

6. საგანგებო საფილტრაციო სამეული უნდა შესდგეს არა უგვიანეს ერთი კვირისა დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა და დაევალოს მას იმავ ხანში შეიმუშაოს დაწვრილებითი ინსტრუქცია და გეგმა თავისი მუშაობისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის დასამტკიცებლად წარსადგენად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
რევოლიუციონური კომიტეტის
თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი **ბ. კვირკელია.**

რევოლიუციონური კომიტეტის
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 4.
ტფილისი, სასახლე.

დადგენილება № 112

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა სახალხო კომისარიატების შტატების შემცირების შესახებ.

რათა, რაც შეიძლება, სასწრაფოდ და მარჯვედ იქნეს განხორციელებული სამუშაო ხელფასის ახალი სისტემა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატებს—შეამცირონ თავიანთი შტატები იმ ნორმამდე, რომელიც განსაზღვრულია სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ, სახელდობრ:

1. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისათვის—100-დე.

2. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისათვის—1974-დე.

3. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისათვის—3,000-დე.

4. განათლების სახალხო კომისარიატისათვის—5,060-დე.

5. იუსტიციის სახალხო კომისარიატისათვის—1,500-დე.

6. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატისათვას—200-დე.

7. შრომის სახალხო კომისარიატისათვის—126-დე.

8. სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატასათვის—142-დე.

9. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატისათვის—50-დე.

10. ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის—822-დე.

11. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისათვის—2390-დე.

12. სასურსათო სახალხო კომისარიატისათვის—500-დე.

13. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატისათვის—3294-დე.

14. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსათვის—200-დე.

15. ტფილისის რევოლიუციონური კომიტეტისათვის—380-დე.

16. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის—595-დე.

2. შემცირება ესე განხორციელებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ამა 1921 წლის დეკემბრის 15-სა.

3. ამა წლის დეკემბრის 15-დან დაწყებული სამუშაო ხელფასის ფონდი თვითეული სახალხო კომისარიატისათვის განსაზღვრული იქნება ზემოთ ჩამოთვლილ შტატების რაოდენობის შეფარდებით.

საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის
რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ბ. მდივანი.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის
თავმჯდომარე **ა. ერქომაიშვილი.**

რევოლიუციონური კომიტეტის
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 8.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 113.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა—წისქვილის შემოსავლის დაბაჟვის დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ წისქვილის შემოსავალის დაბაჟვის შესახებ 1921 წლ. აგვისტოს 5-ს თარიღითა და 53 №-ით გამოცემული დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა.

მინდის პროცენტს—ქერისა, სიმინდისა და სხვა პროდუქტების დაფქვისათვის,—გარდა ხორბლისა, აგრეთვე მინდის პროცენტს ყოველგვარი პროდუქტის დაფქვისათვის, სხვათა შორის ხორბლისაც, ისეთ წისქვილში, რომელიც მექანიკური მამოძრავებლით (მოტორით, ელექტრონით და სხვ. რამ ამგვ.) და აგრეთვე თხიადი სათბობით მაზუთით) მუშაობს,—განსაზღვრავს მაზრის სასურსათო კომიტეტი, მაზრის რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობით; ამასთანავე ეს პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს მინდის იმ რაოდენობას, რასაც ახდევინებდენ იმავე რაიონში 1921 წლის აგვისტოს 5-დე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
რევოლიუციონური კომიტეტის
თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

სასურსათო სახალხო კომისრის
მოადგილე **ალ. ერქომაიშვილი.**

რევოლიუციონური კომიტეტის
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 114.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

ნატურალურ ხარკის (натурналог) **მოხსნისა და შემცირების საუწყებათაშორისო კომისიის დაარსების შესახებ.**

1. მოეწყოს სასურსათო სახალხო კომისარიატთან,—შინაგან საქმეთა, სასურსათო, მიწათ-მოქმედებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატების თითო წარმომადგენელთაგან,—სასურსათო სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით, საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც განიხილავს შუამდგომლობათ ნატურალური ხარკის მოხსნისა და შემცირების შესახებ, რაიმე განსაკუთრებული გარემოებისა და უბედურების გამო, რაც გადამხდელს საშუალებას უსპობს ნატურალური ხარკის გაღებისას.

2. საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილება ნატურალური ხარკის მოხსნისა ან მისი რაოდენობის შემცირების შესახებ დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

3. ნებართვა, იმის შესახებ, რომ ცალკე გადამხდელს ან ჯგუფს, რაიმე განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარმოების გამო, ნატურალური ხარკის ერთი პროდუქტი მეორე პროდუქტად შეეცვალოს, უნდა გაცემულ იქნეს სასურსათო სახალხო კომისარიატის მიერ.

4. სასურსათო სახალხო კომისარი, საუწყებათაშორისო კომისიასთან შეთანხმებით, გამოსცემს სათანადო ინსტრუქციებს.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ბ. მდივანი

სასურსათო სახალხო კომისრის
მოადგილე **ალ. ერქომაიშვილი.**

რევოლიუციონური კომიტეტის
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 8-ს.
ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 91

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წლის ნოემბრის 22-ს დადგენილების თანახმად, განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: განათლების სახალხო კომისარი—ამხ. **კანდელაკი**, სახალხო განათლების კომისრის მოადგილე—ამხ. მარიამ **ორახელაშვილი**, კოლეგიის წევრები—ამხ. **თაქთაქოვი** და **ბრიხნიჩევი**.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური
კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევკომის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. ნოემბრის 28.
ტფილისი.—სასახლე.

ბრძანება № 92.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. ნოემბრის **28-ს** დადგენილებით ამხ. **ბ. კვირკელია** განთავისუფლებულია ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის თანამდებობიდან.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრად დანიშნულია ამხ. **ალექსი ყამარაული.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევოლიუციონური კომიტეტის
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 8-ს.
ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 93.

საქართველოს სოც. **საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. დეკემბრის 3-ს დადგენილებით, ამხ. **ჯავაირა ხუტულაშვილი** დამტკიცებულია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევოლიუციონური კომიტეტის
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 8-ს
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება

შრომისა და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატებისა, უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე შრომის ბეგარის გავრცელების შესახებ.

1. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებში მცხოვრებ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი შრომის ბეგარის (კერძოდ ტვირთზიდვის ბეგარის) შესახებ არსებულ კანონებს და წესებს ექვემდებარებიან საქართველოს ქვეშევრდომებთან თანაბრად.

შენიშვნა: უცხოელი, რომელიც ჩამოსულია საქართველოში მოკლე ხნით, სავაჭრო ან სხვა რაიმე განსაზღვრულ საქმისათვის, შრომის ბეგარას არ იხდის.

2. აკრძალულია უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომთა ისეთ ბეგარაზე გამოყვანა, რომელსაც დამოკიდებულება აქვს რესპუბლიკის თავდაცვის საქმესთან, მაგალითად: სამხედრო სიმაგრეთა აშე-

ნებისა, თხრილების გაკეთების დროს და მსგავს შემთხვევაში.

3. შრომის ბეგარა არ ეხება უცხო სახელმწიფოთა იმ ქვეშევრდომებს, ვინც მუშათა და გლეხთა მთავრობასთან არსებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობის სიებში (ელჩი და საელჩო მოსამსახურე პირნი) ირიცხება და აგრეთვე უცხო სახელმწიფოს გენერალურ კონსულებს, კონსულებს და ვიცე-კონსულებს—გარდა საქართველოს მოქალაქეთა კონსულებისა.

4. უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებად, ვისაც ეს დადგენილება ეხება, ითვლებიან მხოლოდ ის პირნი, რომელთაც გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან მიღებული აქვთ სათანადო მოწმობა.

გარეშე საქმეთა სახალხო
კომისარი **ა. სვანიძე.**

შრომის სახალხო კომისარის
მოადგილე **ა. მიქაძე**

შრომის კომისარიატის საქმეთა
მმართველი **მ. ბერძნიშვილი**

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი

ცირკულიარი

სამაზრო მიწათ-მოქმედების განყოფილებებს

(სატყეო ქვე-განყოფილებათათვის ცნობათა და სახელმძღვანელოდ)

დროებითი დადგენილება ტყის წესდების დარღვევაზე.

გარდამავალ ხანაში, სანამ სატყეო-მეურნეობის საერთო სახელმწიფოებრივი გეგმა იქნებოდეს გამომუშავებული, ტყის მასსიურ დატაცებასა და თვითნებითი სარგებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად და საზოგადოთ ტყის წესდების დამრღვევლების მიმართ, მომავალ სახელმწიფოებრივი ტყეების დაცვითი გეგმასთან დაკავშირებით—მყარდება სასამართლო წესები. ყოველ თვითეულ წესდების დარღვევის შემთხვევის დროს, ადგილობრივი სატყეო ადმინისტრაციის წარმომადგენელები ვალდებულნი არიან შეადგინონ ოქმი ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლების თანადასწრებით:

ა) ოქმში სატყეო წესდების დარღვევაზე შედგენის არა უგვიანეს 3 დღისა წარედგინება ადგილობრივ ტყის გამგეს, რომელიც არკვევს ზარალს ღირებულებას სანიხრო ფასის მიხედვით და ასანაზღაურებელ რაოდენობას სანიხრო ფასის გათვალისწინებით.

ბ) 7-დღის განმავლობაში ოქმს ტყის წესდების დარღვევაზე ადგილობრივი ტყის გამგე უგზავნის კუთვნილებისამებრ სახალხო მოსამართლეს საქმის გადასაწყვეტად.

გ) საქმის მსვლელობისა და გადაწყვეტილების თვალყურის დევნება ევალება ადგილობრივ ტყის გამგეს.

დ) ადგილობრივი ტყის გამგეები პერიოდიულად, წლის ყოველ მეოთხედში აწვდიან ცნობებს ტყის წესდების დარღვევათა საქმის ვითარებაზე სამაზრო სატყეო ქვე-განყოფილებას, უკანასკნელნი-კი მიწათ-მოქმედების კომისარიატის ცენტრალურ სატყეო განყოფილებას.

ხელს აწერენ: სატყეო განყოფილების
გამგე **ს. ბაქრაძე.**

ქვე-განყოფ. გამგე **ბრეგვაძე.**

საქმის მწარმოებელი **ი. ობულაძე.**

6 დეკემბერი, 1921 წ.

შრომის სახ. კომისარიატი

დადგენილება

სახალხო კომისარიატებს, შრომის სამაზრო განყოფილებებს, აჭარისა და აფხაზეთის შრომის სახალხო კომისარიატებს.

შესაცვლელად და დამატებად შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ა|წ. 6|10-ის დადგენილებისა (ოქმი № 40) და მისივე ცირკულიარულ წერილისა ა|წ. 11|10-ის თარიღით № 3026-ით გაიწყვეტთ, რომ საბჭოთა, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა სამსახურიდან სტუდენტთა განთავისუფლება, ვისაც კი სწავლის განგრძობის გამო სურს სამსახურს თავი გაანებოს, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წლოვანობით არ აღემატებიან ოცდა ექვს წელს (და არა ოცდა შვიდს, როგორც ეს შეცდომით იყო აღნიშნული ზემოხსენებულ ოქმში და ცირკულიარში) და თუ მათი სამსახურიდან წასვლა საქმეს ზიანს არ მოუტანს.

შრომის სახალხო კომისარის
მოადგილე **ა. მიქაძე**

საქმეთა მმართველი **მ. ბერძენიშვილი**

საორგანიზაციო-საინსტუქტორო
ნაწილის გამგე **ნასყიდაშვილი**

ბრძანება

კერძო ტვირთის გადაზიდვის შესახებ

,,კერძო ტვირთის გადაზიდვის ნებართვა მოითხოვს ტვირთის ზიდვის ახალ თანდათანობითი წესების შემუშავებას და სანამ ახალი წესები იქნება გამოქვეყნებული საყოველთაო ასასრულებლად ცხადდება შემდეგი:

1. სახელმწიფო ტვირთის გადაზიდვის პლანის დაცვით კერძო პირთა ტვირთს ეთმობა განსაზღვრული ნორმა.

2. კერძო ტვირთი იზიდება მათთვის განსაზღვრულ ნორმის ფარგლებში, ავტომატიურად, გადაზიდვის საერთო პლანის მიხედვით.

3. როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ტვირთის გადასაზიდათ არავითარი ნებართვის ან მოწმობის წარდგენა საჭირო არ არის, ასეთი ნებართვის წარდგენა საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აკრძალული იქნება რაიმე ტვირთის თავის უფალი გადაზიდვა რესპუბლიკის რომელიმე კუთხიდან და როდესაც ასეთი აკრძალვა გამოცხადებულია რკინის გზებზე გზათა სახალხო კომისარიატის ან მისი ორგანოების საშუალებით; ნებართვა იმ დაწესებულებიდან უნდა იქმნას მიღებული, რომელმაც აკრძალა რაიმე ტვირთის გადაზიდვა, ასეთ შემთხვევებში ,,ცენტროსოიუზი'' და მისი ორგანოები განხილულ უნდა იქმნას როგორც სახელმწიფო დაწესებულება.

4. კერძო ტვირთის გაგზავნის დროს პირველ რიგში უნდა დაიტვირთოს და გაიგზავნოს კოოპერატიულ დაწესებულებათა ტვირთი, მეორე რიგში იმ წარმოებათა ტვირთი, რომელნიც სახელმწიფო შეკვეთას ასრულებენ, ხოლო მესამე რიგში ყველა დანარჩენი კერძო ტვირთი. გარდა ამისა კერძო ტვირთის გაგზავნის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს სასურსათო ტვირთს, გარდა ამისა ისეთს ტვირთებს, რომელნიც მალე ფუჭდება, და ძნელად შესანახია და აგრეთვე წვრილ ტვირთებს, რომელთა წონა ორმოცდა ათ ფუთს არ აღემატება.

5. კერძო, მე-4 მუხლში ჩამოთვლილ, ტვირთის ჩასაწერად სამახსოვრო და რიგის წიგნებში, ან ცალკე წიგნები უნდა იქმნას შემოღებული და ან გამოყოფილ უნდა იქმნას განსაკუთრებული ფურცლები ასეთ წიგნებში.

6. თუ კერძო ტვირთი ძლიერ საჩქაროდ გასაგზავნი იქნება, ხოლო საპლანო რიგს გარეშე ტვირთის გზავნა შეწყვეტილი აღმოჩნდება, კერძო ტვირთის გამგზავნს შეუძლია სთხოვოს ადგილობრივ ბიუროს ან ო. კ. პ-ს და კ. პ-ს გაგზავნოს მისი ტვირთი, როგორც დამკვრელ საპლანო ან ძლიერ სასწრაფო ტვირთი.

7. ის ნორმა, რომელიც დაუტვირთავი გადარჩება რომელიმე უწყებას, გარდა სასურსათო კომისარიატისა, ო კ პ-ს ან ც კ პ-ს განკარგულებით შეიძლება კერძო პირთა სასურსათო ტვირთით დაიტვირთოს მთლიანად ან ნაწილობრივ.

ხელს აწერს გზათა სახალხო კომირის მოადგილე **ფომინი.**

აღნიშნული ბრძანება გაკრულ იქნას თვალსაჩინო ადგილზე კერძო გამგზავნთა საყურადღებოდ. ყოველი განყოფილების ფარგლებში ორთავე მიმართულებით კერძო ტვირთის გასაგზავნად მიეცეს ხუთი დატვირთული ვაგონი, ხოლო დაუტვირთავი განუსაზღვრელად. დღემდი გამოცხადებული აკრძალვა სხვა და სხვა ტვირთის ზიდვისა ძალაში რჩება.

დედანს ხელს აწერს: ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის მაგიერ **აბრამოვი.**
კომისრის მოადგილე **ჩეტვერგოვი.**

არა-ოფიციალური განყოფილება

ადმინისტრაციული ერთეულთა განყოფილებაში.

(შემდეგი) *)

ჩვენ განზრახ შევჩერდით სამხრეთ-ოსეთის ჩრდილო ნაწილის ისტორიულ-გეოგრაფიულ პირობებზე, რათა უფრო ნათელ გვეყო სტრატეგიული მხარე დაყენებულ საკითხისა, რათა დაგვენახვებია, თუ რა ხელსაყრელი პირობები იქმნება ერთის მხრით ჩრდილოეთიდან მოსულ ყოველ მოწინააღმდეგე ძალისათვის და მეორეს მხრით თუ რა მოსალოდნელ საფრთხეში ვარდება საქართველოს რესპუბლიკა ადმინისტრატიული სამაზრო ერთეულის ანუ რაც იგივეა უწყებულ საქმეში, ავტონომიურ-ტერიტორიალურ ერთეულის გამოჭრისა გამო საკუთრათ ოსთათვის.

თქვენ ხედავთ, თუ რა დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის მოყვანილ გეოგრაფიულ პირობებს: დაუშვათ ერთ წუთს, ასე მსჯელობდა კომისსია, ოსთა მოსახლეობაში დაიბადა სეპარატისტული ტენდენცია, ჩრდილო-ოსეთის ზეგავლენით, რომელსაც ამ ჟამად პოლიტიკური მიდრეკილება რუსეთისაკენ აქვს, გარდა იმისა, რომ იგი თავის ეკონომიური ურთიერთობით რუსეთის ორიენტაციის ორბიტრაშია ჩათრეული. ამ შემთხვევაში მტერს საშუალება ეძლევა ყოველგვარი საომარი სამზადისისა: სრულიათ დაუბრკოლებლივ, ჩრდილო ოსეთის გზით,

გადმოიყვანოს ცოცხალი სამხედრო ძალები, შეიარაღოს ნელ ნელა და გაწვრთნას ადგილობრივი ელემენტები, მოაწყოს დიდი საწყობები ყოველგვარ საძხედრო მასალისა, რომელიც შემდეგ თანდათან გადიტანება განზრახულ მაზრაში, სადაც იგი ადვილათ შექმნის რესპუბლიკის წინააღმდეგ თავის სამხედრო-სამოქმედო ბაზას. აქედან კი მტერს შეუძლია მცირე პარტიზანულ რაზმების სამუალებით შესწყვიტოს კავშირი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის (რკინის გზის დანგრევით, რომელიც, როგორც ზემოთ ვსთქვით მხოლოდ 10—20 ვერსით იქნება დაშორებული ახალ მაზრას), შეუძლია სრულიად მოსპოს მოძრაობა ჩვენი ძალებისა საქართველოს სამხედრო გზაზე და გადააქციოს ეს უკანასკნელი ძისთვის საბოქმედო ასპაოეზათ.

ამ გვარად, კომისსიის აზრით, როგორც სანაპირო ჯაოისათვის, ისე სამაზრო ადმინისტრაციისათვის ძეტად გაძნელებული იქნება ბრძოლა ჩრდილოეთიდან ძოსულ ძტერთან, თუ შუაგულ საქართველოში შევქმენით ეროვნულ პრისციპზე აგებული ახალი ადძიხისტრატიული ერთეული ფართო საერობო თვითმართველობით ანუ ადგილობრივ საქმეებში თითქმის სრულიად დამოუკიდებელი მაზრა. და თუ აძგვარ მაზრის ძექმნა, პოლიტიკური მოსაზრებათა მიხედვით, ძაინც და მაინც აუცილებელია, მაშინ, კომისსიის შეხედულობით, მას უნდა ძისცემოდა ისეთი გეოგრაფიული ძოხაზულობა, რომ იგი რაც შეიძლება ძეტად დაშორებული ყოფილიყო მთავარ რკინის გზის ლიანდაგს და აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზას, ხოლო სრულიად მოწყვეტილი (პოლიტიკურათ) ჩრდილო ოსეთს. ამ უკანასკნელი ძოსაზრების განსახორციელებლათ კი კომისსიას საჭიროთ მიაჩნდა დვალეთის საქართველოს საზღვრებში ძოქცევა. ამ შეთხვევაში მთავარ მთაგრეხილის ერთათ ერთი არდონის კარი საქართველოს ხელისუფალთა კონტროლის ქვეშ იქნებოდა, რითაც ხსენებულ ადგილას ქართულ სახაპირო ჯარს ძალზე გაუადვილდებოდა საზღვრების დაზვერვა და დაცვა.

ამ აზრს კომისსიისას სავსებით ეთანხმება პროფ. ივ. ჯავახიშვილიც, რომელიც დვალეთის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ თავის „საქართველოს საზღვრებ“-ში (გვ. 9) შემდეგსა სწერს:

„საუკუნეთა განმავლობაში, როგორც დავინახეთ, საქართველოს მთავრობა ამ კუთხეს (იგულისხმება დვალეთი) საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვან კარათ სთვლიდა და ამის გამო მას ფხიზელ დარაჯათ უდგა, საგანგებოთ არდონის გასავალთან ზღუდეც კი აგო, რომ თუ საჭირო იქნებოდა მტრის შემოსვლის მხრივ ამ სახიფათო გზის კარის დახშვა ადვილათ შესძლებოდა. ამ კუთხის ბუნებრივ აგებულებასა და თვისებას თუ დავაკვირდით, ცხადი იქნება, რომ იგი საქართველოსთან უფრო მრავალრიცხოვან გზებით, სხვა და სხვა მხრით თერთმეტი გარდმოსავლით, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსთან არის შედარებით მჭიდროთ დაკავშირებული. ჩრდილოეთთან კი მას ძხოლოდ ერთი გასავალი აერთებს. ყველა ამ მოსაზრების გამო, უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელი, რომ წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილ იქმნას: რუსეთის მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი ანუ არდონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთ საქართველოს დაუბრუნდეს“...

ასეთი მოსალოდნელი შესაძლებლობანი ეხატებოდა კომისსიას იმ დროს, როდესაც იგი თითქო ისეთს პირველს შეხედვით მარტივს საკითხს სწყვეტდა, როგორიც არის ერთი ახალი მაზრის გაძოჭრა. მაგრამ მას კარგად ესმოდა მთელი სიღრძე და პოლიტიკური წონა ოსთა შუამდგომლობისა. ეს არ იყო საკითხი უბრალო მაზრის გამოჭრისა, საკითხი, რომელშიც სახელმწიფო პოლიტიკა არავითარი მხრით ჩაქსოვილი არ იყო. მას კარგად ესმოდა, რომ მის წინ არ იდგა საკითხი უბრალო ადმინისტრატიული გადამიჯვნისა, არამედ საკითხი განსაზღვრულ ეროვნულ ჯგუფისათვის განსაზღვრული ტერიტორიის მიჩენისა, რომელიც დაინტერესებულ ძხარეს წმინდა პოლიტიკური ძიზნებისათვის უნდა გამოეყენებია. ეს, მართალია, იყო საკითხი ახალ მაზრის დაწესებაზე, მაგრამ ძაზრა იგი ფაკტიურად ეროვნულ პრინციპზე უნდა აგებულიყო, რაიც თვით საკითხს არა ჩვეულებრივ რიგში აყენებდა.

და აი, როდესაც ასეთი საკითხი იმ სახით და ისეთ პირობებში დგებოდა, რა სახით და რა პირობებიც საკმაოდ ვერ უზრუნველყოფდენ საერთოსახელმწიფო ინტერესებს, როდესაც დვალეთი, ეს ოსთა ძიერ დასახლებული კუთხე, ეს საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვანი კარი, იყო და ახლაც არის სახელმწიფოს საზღვრების გარეშე და, მაშასადამე, ახალი მაზრა, მოსალოდნელია, გარდაიქცეს საუცხოვო სამხედრო-სამოქმედო ბაზათ. საუწყებათა შორისო კომისსიას სხვა არა დარჩენოდა ოა, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით განხილვის შემდეგ საკითხი ძოლათ ძოესხნა, დროძდი ძაინც, ვიდრე საკითხი სხვა პირობებში არ დადგებოდა. ძან ეს, მიუხედავად ამისა, არა ქმნა და სრულიად საფუძვლიანათაც. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მთავრობის მიერ მიცემული დირექტივა ამის ნებას მას არ აძლევდა და მეორეც იმიტომ, რომ ძას ამოძრავებდა წოფელი სურვილი ეროვნული უმცირესობის სურვილი შეძლებისამებრ დაეკმაყოფილებია, რაიც დემოკრატიული სახელმწიფოს მძართველთა ერთი უპირველეს მოვალეობათაგანია.

ამიტომაც სტრატეგიულ გარანტიების ძებნას მან თავი მიანება და გარდასწყვიტა კვლავ სტატისტიკას დაბრუნებოდა და ამ გზით გაერკვია ნამდვილი სურათი ოსთა მოსახლეობისა საქართველოში და შემდეგ ამის მიხედვით წარედგინა მთავ-

რობისათვის კონკრეტიული გეგმა ოსთა ადმინისტრატიულათ მოწყობისა.

ამ მიზნით, კომისსიამ დაადგინა ეთხოვოს მთავრობას, რათა მან გასცეს განკარგულება ახალი სტატისტიკური ანკეტის მოხდენის შესახებ, სპეციალურათ ამ საქმისათვის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიერ დანიმხულ აგენტების საშუალებით. ამ ანკეტას, სხვათა შორის, უნდა გამოერკვია ნება სურვილი ოს-მკვიდრთა, ე. ი. სურთ თუ არა მათ, ეკონომიურისა თუ სხვა მოსაზრებით, გამოეყონ გორისა და სხვა მაზრებს ცალკე მაზრათ. ეს იქნებოდა რეფერენდუმი, რომელიც პირდაპირ და ჭეშმარიტ პასუხს მოგვცემდა დაყენებულ საკითხზე. ანკეტა უნდა მოხდარიყო იმ ტერიტორიალურ ფარგლებში, რომელნიც ოსთა დელეგაციის განცხადებაში იყო აღნიშნული ე. ი. რაჭის, შორაპნის, გორის და დუშეთის მაზრებში. ვიდრე საუწყებათაშორისო კომისსია ამ ანკეტის მიერ შეკრებილ ცნობებს მიიღებდა, მისი სხდომები უნდა შეწყვეტილიყო და კანონპროექტის დამუშავებაც გადადებულიყო.

მთავრობა, გაეცნო რა საქმის მთელს ვითარებას, სრულიად გაიზიარა კომისსიის შუამდგომლობა და მიიღო გარდაწყვეტილება, რომლის ძალით ახალი ვრცელი სტატისტიკური მასალა უნდა შეკრებილიყო ოსთა მოსახლეობის შესახებ.

მას შემდეგ ახალ კომუნისტური ძალა-უფლების დამყარებამდი კაი ხანი გავიდა, მაგრამ აღნიშნულ კომისსიას არც არავითარი მასალა და არც რაიმე ცნობა იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა წარსულ მთავრობის გარდაწყვეტილების აღსასრულებლათ, არ მოსვლია. და ამ მიზეზისა გამო საქმე დაუსრულებელი დარჩა...

(შემდეგი იქნება).

შრომის გეგარა

(განმარტება დეკრეტი № 69-„მოამბე“ № 17, მთავრობის დადგენილება № 70 „მოამბე“ № 18 და შრომის ს. კომისარიატის ცირკულიარის № 27-„მოამბე“ № 19.)

ძლიერ დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენაა შრომის ბეგარა და მას ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, მაგრამ ამასთანავე იგი ორპირი იარაღიც არის და საერთო საქმისაოვის ზიანის მიყენებაც სულ ადვილია. საქმე იმაშია, რომ შრომის ბეგარით ზედმეტად და გადაჭარბებით სარგებლობა მეტ ბარგად, მძიმე, აუტანელ ტვირთად აწვება მცხოვრებს და ამიტომ იწვევს მასში დიდ უკმაყოფილებასაც. ის მაზრები, რომლებიც ხშირად მიმართავენ ასეთ საშუალებას, ცხადზე უცხადესია ბევრ რამეს იგებენ, მაგრამ ამასთანავე აგებენ კიდეც. ყოველგვარ ბეგარას, რომელსაც ადგილობრივი ხელის უფლების ორგანო მართავს მაზრის, თუ მისი რომელიმე ნაწილის სარგებლოდ, ადგილობრივი მცხოვრები ასე თუ ისე კიდევ შეურიგდება, რადგან სარგებლობას თავისი თვალით უყურებს, შრომის ბეგარით შესრულებული, ან უკეთ გაკეთებული სამუშაო, იქვე რჩება, შემდეგისათვის და ისიც უახლოეს დროისათვის, ნაყოფს გამოიღებს. მაგრამ ამ ბეგარას ემატება კიდევ, სხვა და სხვა კუთხეში მდგარი ჯარის ნაწილებისათვის შარა გზით ტვირთ ზიდვის ბეგარა; მაგალითად ყველაზე უფრო შევიწროებული არის ამ მხრივ ახალ ქალაქის, შემდეგ ბორჩალოს, სიღნაღის და სხ. მაზრები.

ცხადია, ასეთ პირობებში თუ შრომის ბეგრის გატარებას არ მიეცა წესიერი სახე, მისი გატარების საკითხი არ იქნა მოგვარებული კანონმდებლობითი გზით, იგი დაკარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას და აღმზდელობითი, სასაგებლო მოვლენის მაგიერ გადაიქცევა მცხოვრებთათვის ჯოჯოხეთად და სასჯელად. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ საჭიროა ერთგვარი გეგმა, რომლის მიხედვითაც შრომის ბეგარა უნდა განხორციელდეს, უნდა იყოს ისეთი ორგანო, რომელიც იძლეოდეს ნებართვასაც და აწარმოებდეს რეგისტრაციას როგორც ბეგრისას, აგრეთვე მისი საშუალებით გაკეთებული ნაძუშევაოისაც. საქართველოს მთავრობას ჰქონდა მიღებული ყოველივე ეს მხედველობაში და ა. წ. 5 სექტემბერს გამოიცა დეკრეტი № 69, **შარა გზით ტვირთზიდვის ბეგარის შემოღების შესახებ.** მიხანი ასეთი ბეგარის შემოღებისა იყო რესპუბლიკის დიდ ცენტრებში სასურსათო, სათბოი, სააღმშენებლო, სამხედრო და სხვა ტვირთის გადაზიდვის უზრუნველყოფა და ამასთან გადაზიდული მასალის სათანადო გეგმის მიხედვით განაწილება. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია მთელ რესპუბლიკაში ნატურალური ქირა—დადგენილი შარა გზით ტვირთ ზიდვი ბეგარა. ე. ი. მართალია, რომ ტვითზიდვა ბეგრის სახით ხდება, მაგრამ იგი უსასყიდლოდ არ შეიძლება იქნეს მოხდილი.

ბეგრის შემოღება, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მოქალაქე ყოველდღე იქნეს გაყვანილი, არ ნიშნავს იმას, რომ ბეგარის გამტარებელს, ან ნება დამრთველს შეუძლია თავისი სურვილით, როცა მოეხასიათება და სხ. მაშინ მიმართოს მას. არა,—სახელმწიფო საჭიროებისათვის შარა გზით ტვირთზიდვის ბეგარაზე თვითეული თავი საქონლის გამოყვანა სამუშაოდ შეიძლება მხოლოდ **კვირაში ერთ დღეს** ან თვეში **ოთხ დღეს** ურმით და სხვა ამისთანა ტვირთსაზიდით, შესაბმელი ხელსაწყოთი და მეხრით, ან მეურმით.

რა წესით უნდა იქნეს გატარებული იგი ამის პასუხს დეკრეტი № 69 მუხლი 5-ე იძლევა თითეული ცალკე უწყება გეგმა-განცხადებას თავისი საჭიროებისათვის განზრახული გადაზიდვი მეახებ, უდგენს სახალხო მეურნეობის უმაღლეს

საბჭოს, რომელიც, თავისი მხრით, უმეშვეოდ დაავალებს გეგმის სისრულეში მოყვანას სათანადო რევოლიუციონურ კომიტეტს. ამ მუხლის საშუალებით ერთის მხრივ ისპობა ანარქიული სისტემა ბეგარის გატარებისა და მეორეს მხრივ ადგილობრივი ორგანო, როგორც დაახლოვებული მაზრასთან, უფრო ადვილად შეიძლებს დავალების შესრულებას. მესამე ისაა რომ საბჭოს არ გამოეპარება არც ერთი ასეთი ბეგარა და მას შეუძლია კონტროლი გაუწიოს შრომის ბეგრის სისრულეში მოყვანას, მით სარგებლობას.

დეკრეტს ისიც აქვს მიღებული მხედველობაში, რომ მართალია დაცული იქნება წესი ნებართვების და სხ. მიღებისა, მაგრამ შეიძლება ადგილი ექნეს ბოროტქმედებას ზედმეტი ტვირთის გადაზიდვისათვის იძულების მიყენებით და ისიც უსასყიდლოთ. მაგრამ მუხლი 7-დე ამ საკითხსაც არკვევს შესაფერისად: გადაზიდვის სასყიდლის რაოდენობას განსაზღვრავს ს. მ. უ. საბჭო, სამაზრო რევკომებისა და დაინტერესებული უწყებათა ადგილობრივი წარმომადგენლებთან შეთანხმებით; და აღსრულებული გადაზიდვისათვის სასყიდლის გაღება უნდა მოხდეს კუთვნილებისამებრ. მაგრამ ამ შემთხვევაში, სამი ორგანო, სახელდობრ სასურსათო კომისარიატი, გაერთიანებული რკინის გზების სამმართველო და სატყეო კომიტეტი — სასყიდელს ადგილობრივ გაიღებენ; ხოლო დანარჩენი უწყებათა საჭიროებისათვის სასყიდელს გაიღებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

განხორციელება ამ დეკრეტის ტექნიკურის და საერთოდ დეკრეტში აღნიშნული მოვალეობისა დაკისრებული აქვს, მე 11 მუხლის თანახმად, როგორც უკვე თქმული იყო, სახ. მეურ. უმ. საბჭოს.

მაშასადამე როგორც ნებართვა, ისე მისი გატარება სავსებით დამოკიდებულია საბჭოზე. ყველა სხვა, ვინც მოინდომებს ამის დარღვევას, ან გვერდის ავლას, იგი დაარღვევს დეკრეტს № 69 და ამისი შედეგები კი უნდა იქნეს სათანადო ორგანოს, თუ პირის მიერ სათანადო ორგანოს წინაშე პასუხის გება.

მაგრამ შრომის ბეგარა, ხომ არ გამოიხატება მარტო შარა გზით ტვირთზიდვაში?! პრაქტიკაში ბევრი მხარეა ისეთი, რომელიც მოითხოვს ასეთ ბეგარას და ჩვენ ვიცით ტარდება კიდეც ცხოვრებაში. ვინ, ან როგორ ატარებს ამას? ვინ იძლევა ნებართვას. თუ, იქნებ აკრძალულია კიდეც?! ამის პასუხს იძლევა მთავრობის დადგენილება № 70 (14 სექტემბრის და შრომის ს. კომისარიატის ცირკულიარი № 27.

მთავრობის დადგენილება № 70 ეხება „გზათა შესაკეთებლად მუშაობის წარმოებისათვის შრომის ბეგრის შემოღებას“, იგი ამბობს:

„რათა რესპუბლიკის სამეურნეო ორგანოები, რომელნიც გზათა შეკეთებას აწარმოებენ, საჭირო მუშახელით უზრუნველყოფილიყვენ და მუშა ხელი მათ სათანადო გეგმის მიხედვით გამოიყენონ, საერთო შრომის ბეგრის დეკრეტის გამოცემამდე ადგენს: შემოღებულ იქნეს. შრომის ბეგარა იმ მოქალაქეთათვის, რომელნიც ჰბინადრობენ შესაკეთებელ გზების ახლო მდებარე ადგილებში — ოცდაათი ვერსტის რადიუსის სივრცეზე.

ამ დიდი მნიშვნელობის ბეგრის ცხოვრებაში გატარება და განხორციელება დავალებული აქვს შრომის სახალხო კომისარიატს, რომელიც მისი განხორციელების დროს, უნდა შეუთანხმდეს ხოლმე მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს ბეგრის ვადისა და წესის შესახებ, რაც უნდა განისაზღვროს ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო გარემოების მიხედვით.

მაშასადამე აქაც თვისი სურვილით და ნებით, ადგილობრივ რევკომებს არ შეუძლიათ მიმართონ გზის შეკეთების ბეგარას. აქაც იგივე მოსაზრებებია რომ გარეშე შრომის სახალხო კომისარიატისა, არავის არა აქვს ნება ამ ბეგარის ნების მიცემისა და მისი სისრულეში მოყვანისა. ამ რიგად ამ ორ უმთავრეს დარგში ბეგრის გატარებას უკვე პატრონი ჰყავს. რა მდგომარეობაშია დანარჩენი სახის ბეგარა! ამის პასუხს იძლევა შრომის სახალხო კომისარიატის ცირკულიარი № 27.

შრომის სახალხო კომისარიატს შრომის ბეგრის მოსახდელად მობილიზაციის მოხდენის დროს, საჭიროდ მიაჩნია მობილიზაციის გამტარებელმა ორგანომ ასეთი მობილიზაცია მოახდინოს კომისარიატის ნება რთვით. ეს გარემოება კი კომისარიატს, რომელიც მოწოდებულია შრომის უზენაესი ზედამხედველის და დამცველის როლში, შეძლება მიეცეს ანგარიში გაუწიოს სხვა და სხვა კუთხეში მუშა ხელის საჭიროებას და მასთან შეიტანოს ერთგვარი, აუცილებელი სისტემა ამ საქმეში. ამიტომ ადგილობრივი ორგანო ვალდებულია, როცა საჭიროება მოითხოვს შრომის ბეგრის გატარებას, წარუდგინოს კომისარიატს დასაბუთებული მოხსენება მუშა ხელის ნაწილობრივი მობილიზაციის გეგმისა და მიზნის შესახებ და როცა ნებართვა იქნება მიღებული, მხოლოდ მაშინ უნდა შეუდგეს იგი მის გატარებას.

მაშასადამე გარდა ტვირთ ზიდვის ბეგრისა, რომელიც მხოლოდ სახ. მეურ. უმ. საბჭოს კომპეტენციას შეადგენს, სხვა ყოველგვარი ბეგარის შესახებ ნებართვას იძლევა შრომის სახალხო კომისარიატი, მაგრამ აღრიცხვას კი ახდენს ყოველგვარი, გატარებული ბეგარის ცნობაში მოსაყვანად.

გარეშე ამ წესებისა, გატარება ბეგარის არავის არ შეუძლია, რადგან აკრძალულია ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ. ადგილობრივმა რევოლიუციონურმა კომიტეტმა ეს უსათუოდ უნდა მიიღონ მხედველობაში და თავისი „შეხედულების“ მაგიერ, ადგილი უნდა დაუთმონ კანონის მოთხოვნილებათ.

შ. გოლუა.

მოქალაქეობრივ მდგომარეობის აღნიშვნა რეგისტრაცია

I

ყოველმა მოქალაქემ,—განურჩევლად მისი სარწმუნოებისა,—უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების შემდეგ, აღნუსხვა დაბადებისა, ქორწინებისა, განქორწინებისა, გვარისა და სახელის გამოცვლისა, სიკვდილის და სხვა ხდება ადგილობრივ საქოქალაქო მდგომარეობის აქტებში ჩაწერ განყოფილებებში, რადგანაც მხოლოდ ამ განყოფილებათა აქტებში ჩაწერას მოსდევს იურიდიული შედეგებიც ე. ი. მხოლოდ ამ განყოფილებაში ჩაწერილ მდგომარეობას აქვს კანონიერი ძალა. მას შემდეგ, რაც გამოიცა დეკრეტი № 28 მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებში ჩაწერის შესახებ ყველა სარწმუნოების სამღვდელოებას უფლება ჩამოერთვათ აწარმოონ მეტრიკული წიგნები დაბადების (მონათვლის) ქორწინების (ჯვრისწერის) და სიკვდილის (ანდერძის აგების) ჩაწერის შესახებ. ძალ, ასე ვსთქვად, შეუძლიათ მხოლოდ საეკლესიო წესების ასრულება, (ე. ი.) მონათლონ ბავშვი, ჯვარი დასწეროს მექორწინეთ ან და ანდერძი აუგონ გარდაცვალებულთ. მარტო საეკლესიო წესების ასრულება არავითარ იურიდიულ შედეგს არ იწვევს მოქალაქის მდგომარეობაში. პასუხს იმ კითხვებზე, თუ ვის უნდა მიმართოს მოქალაქემ, რომ ჩასწეროს ბავშვის დაბადება, რა ფორმალური მხარეები უნდა დაიცვას მან, რომ დაქორწინდეს, როგორ გახქორწინდეს, როდის და რა მხრივ შეუძლიან გამოიცვალოს გვარი ან სახელი და სხვა, იძლევა დეკრეტი № 28.

II

დაბადებისა, ქორწინებისა, განქორწინებისა და სხვა მდგომარეობის აღნუსხვას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც თვით მოქალაქის, ისე სახელმწიფოსთვისაც. ამგვარ ჩაწერით მოქალაქე პოვებს, ან კარგავს ოჯახეურ უფლებას (მაგალ. ქორწინებით პოვებს უფლებას ქმრისას, ან ცოლისას, დაბადების ჩაწერის, ჩამომავლობის და მემკვიდრეობის და სხვა)

სახელმწიფოს კი ეს სჭირია მცხოვრებთა აღრიცხვის, სამხედრო ბეგარის გადახდის, ხარჯების გაწეისათვის და სხვა, ამიტომ, როგორც სახელმწიფო ისე ცალკე მოქალაქეც, დიდის ყურადღებით უნდა ცდილობდეს, რომ მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტებში ჩაწერა ხდებოდეს სწორედ, რიგზედ და თავის დროზე. საბუთები, რომელნიც ადასტურებენ დაბადებას, ქორწინებას სიკვდილს და სხვა მდგომარეობას იმ წესით, როგორც ეს მიღებულია კანონით ითვლებიან მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებად.

მოქალაქობრივ მდგომარეობის დეკრეტის გამოსვლის შემდეგ ყოველი მოქალაქე დღიდან მისი დაბადების ჩაწერისა, იქერს უშუალო დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან.

არავინ და არაფერი არა სდგას მოქალაქის [illegible] როვნებასა და საბჭოთა რესპუბლიკის [illegible] ბის შორის.

ძველად ბატონყმობის დროს, მომეტებული მცხოვრებთა დიდი ურავლესობა ითვლებოდა ნივთად ბატონის „დასახულ მამულისა", ყმა ექვემდებარებოდა ბატონის უფლებას, იგი არ იყო ცნობილი დამოუკიდებელ პიროვნებად. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მოქალაქობრივი პიროვნება განისაზღვრებოდა წოდების მდგომარეობით.

თავადაზნაურები იწერებოდნენ საგვარეულო წიგნებში თავიანთ დეპუტატთა საკრებულოებში, სასულიერო და ვაჭართა წოდების პირნი თავიანთ განცალკევებულ წიგნებში, მოქალაქენი—ეგრედ წოდებულ (მესჩანსკი უპრავაში) გლეხები კამერალურ აღწერებში **და აგრედ „წოდებულ რევინსკის სკაზკიებში"**

ყველა მდგომარეობათათვის სწარმოებდა სამრევლო მეტრიკული წიგნები და ცალკე წოდებისთვის კი სხვა და სხვა უწყებები.

განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს **აგრედ** წოდებული მეტრიკის წიგნები. ეს წიგნები პირველად შემოიღო რუსეთში პეტრე დიდმა 1722 წელს. მან უბრძანა სამღვდელოებას, ჩაეწერათ ხოლმე თავიანთი მრევლში დაბადებულნი და მონათლულნი ბავშვები, და მათი გადაცვალება მონათვლამდის, სადაც უნდა ყოფილიყო ნაჩვენები აგრეთვე მიზეზი თუ რატომ დარჩა ბავშვი მოუნათლავი, ამ წიგნებში სამღვდელოებას უნდა აენუსხა დაქორწინებაც. (ვრცელი კანონთა კრებული № 4022)

მეტრიკის წიგნებში უფრო სწორედ იწერებოდა ნათლობა, ვიდრე დაბადება, ჯვრისწერა და არა ქორწინება, ანდერძის აგება და არა სიკვდილი.

შემდეგში შემოღებულ იყო მეტრიკის წიგნები სხვა და სხვა სარწმუნოებათათვისაც.

თუ მივიღებთ მხედველობაში რამდენი სხვადა სხვა სარწმუნოების ხალხი სცხოვრობს რესპუბლიკაში და აგრეთვე იმისაც, რომ ერთი და იგივე ერი (ტომი) სხვა და სხვა სარწმუნოებისაა, (გამაჰმადიანებული ქართველები, კათოლიკენი და სხვა), მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, რა არევ დარევა იქნებოდა მეტრიკის წიგნებში. მით უმეტესად, რომ ეს წიგნები იწერებოდა სხვა და სხვა ენაზე.

ეხლა კი ყველა მოქალაქესთვის შემოღებულია ერთგვარი წესი მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებში ჩაწერის წარმოებისა.

გამონაკლისი არავისთვის აღარ არსებობს. ჩაწერას აწარმოებს ადგილობრივი მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტებში ჩამწერი განყოფილებანი. ამათთვის შემოღებულია მთელი რიგი სხვა და სხვა წიგნებისა, სადაც იწერება დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება, უგზოუკვლოდ დაკარგულნი, გვარი და სახელის გამოცვლა, **ჩასახულ** ბავშვთა ჩამომავლობა.

ყოველ წიგნს აწარმოებენ ორ ცალად, ამათში ერთი ცალი ყველა წიგნისა რჩება ადგილობრივ

მ. მ. ა. ჩ. განყოფილებაში, მეორე კი იგზავნება ცენტრალურ მ. მ. ა. ჩ. განყოფილების არქივში შესანახად, ამით უზრუნველყოფილია წიგნების შენახვა და სტატისტიკური ცნობების შეკრება. შესაძლებელია, რომ წიგნებში მოქალაქეობრივ მდგომარეობაში სწორედ არ იყოს ჩაწერილი, და ამის გამო ხდება გახსაჩივრება სახალხო სასამართლოში. ჩაწერილის გასწორება შეიძლება მხოლოდ სახალხო სასამართლოში, დადგენილებით. თუ შეცდომა უმნიშვნელოა ან უდავო, ამ შემთხვევაში ჩაწერა სწორდება ცენტრალურ მ. მ. ა. ჩ. განყოფილების მიწერილობით. თუ დაინტერესებულ პირთ სურთ ჩაწერილის ასლის მიღება, მათ უნდა მიმართონ თავიანთ ადგილობრივ ან ცენტრალურ განყოფილებას.

III

წინად ხშირად ხდებოდა, რომ მღვდელი მონათლავდა ხოლმე ბავშვს, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო აღარ სწერდა მეტრიკულ წიგნებში (მაგალითად: დაავიწყდებოდა) ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მონათვლა და ჩაწერა ერთსა და იმავე დროს არა ხერხდებოდა. მღვდლები, მოძეტებულ შემთხვევაში, უბრალო ქაღალდის ნახევზე იწერდენ ბავშვის დაბადების დღეს, შემდეგში ავიწყდებოდათ ჩაეწერათ მეტრიკის წიგნებში, ან და ჰკარგავდენ ხოლმე ამ ქაღალდის ნახევს. მღვდლების ამ გვარ დაუუდევრობას ის შედეგი მოსდევდა, რომ ჩაუწერავი მოქალაქე რამდენიმე თვეობით (ხან კი თითქმის წლობით) გამოძიებას უნდებოდა და, რასაკვირველია, დროც და ფულიც ბევრი ეკარგებოდა, რომ მღვდლის დაუდევრობა გაესწორებინა. ამას ეხლა ადგილი აღარ ექნება, რადგანაც დაბადების ჩაწერა ხდება მშობლების თანდასწრებით და ამის გარდა, მათვე უნდა ხელი მოაწერონ იმ დავთარში, საცა იქნება ჩაწერილი ბავშვი. სამღვდელოება დაბადებულის ჩაწერის დროს კმაყოფილდებოდა შემდეგი კითხვებით: 1) დაბადებულის სახელი, 2) დრო დაბადებისა და მონათვლისა, 3) სახელი, მამის სახელი და გვარი მშობლების, 4) სადაური მცხოვრებელი არიან ისინი და რა წოდებისა, 5) ნათლიების ვინაობა და სხ. რომელმა მღვდელ-დიაკონმა მონათლა ბავშვი.

მ. მ. ა. ჩ.-ის განყოფილებამ ზოგიერთი კითხვები გამოსტოვა, როგორც არა მნიშვნელოვანი (წოდება, ნათლიების ვინაობა და სხვა) მაგრამ მოუმატა შემდეგი ძნიშვნელოვანი კითხვები: დაბადების ადგილი, ხელობა მშობლებისა, ბავშვის ეროვნება, მშობლების მუდმივი ბინადრობა, მშობლების წლოვანობა მერამდენე ბავშვია აღნიშნულ მშობლებისა და განსაკუთრებული შენიშვნები.

რადგანაც მოქალაქის დაბადების ჩაწერას აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორც პირადად თვით მოქალაქესა, აგრეთვე სახელმწიფოსთვის, ამიტომ კანონი სდევნის იმ დაუდევარ პირთ, რომლის მოვალეობასაც შეადგენს ბავშვის დაბადების განცხადება, კანონის ძალით ასეთი პირები, თუ ერთ თვის განმავლობაში, დღიდან ბავშვის დაბადებისა, არ გაჰაცხადებენ ამ შემთხვევას, დაისჯებიან სახალხო სასამართლოს მიერ. არავითარი გადასახადი არ არის მიღებული კანონით. მოქ. მდგომარეობის ჩაწერის დროს ყველა ჩაწერა ხდება უსასყიდლოდ.

დაბადებულთა ჩაწერა ხდება ამ გვარად: ბავშვის დედმამა, ან ის პირები ვის მზრუნველობაშიც არის ბავშვი, დედმამის ავადმყოფობის ან სიკვდილის გამო, პირადათ ან წერილობით განუცხადებენ დაბადების შესახებ იმ ადგილობრივ მ. მ. ა. ჩ.-ის განყოფილებას, სადაც დაიბადა ბავშვი.

განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს: 1) დაბადების თვე და რიცხვი, 2) დაბადების ადგილი, 3) ბავშვის სქესი, 4) ბავშვის სახელი, 5) მშობლის სახელი და მამის სახელი, აგრეთვე მათი გვარი, 6) ხელობა, 7) ბავშვის ეროვნება, 8) მშობლების მუდმივი ბინადრობა, 9) მშობლების წლოვანობა, 10) აღნიშნული მშობლების მერამდენე ბავშვია და 11) ამის გარდა თუ არის კიდევ რაიმე გამოსაცხადებელი ან ღირსი აღნუსხვისა-იქნება მეტანილი განსაკუთრებულ შენიშვნებში. ამის გარდა მშობლებმა უნდა მისცენ ხელწერილი, რომ ბავშვი ნამდვილად მათგან წარმოიშვა: ბავშვის დაბადებას ადასტურებს ორი პირი, მათ შორის დადასტურება შეუძლიანთ თვით განმცხადებელსაც. განცხადება უნდა მოხდეს არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან ბავშვის დაბადებისა. თუ ტყუპი დაიბადა ორთავენი ცალცალკე უნდა იყოს ჩაწერილი, განცხადება მაშინაც კი საჭიროა, როდესაც ბავშვი მკვდარი დაიბადება, მხოლოდ ამ შემთხვევაში მკვდარ ბავშვს ჯერ დაბადების წიგნში ჩასწერენ — შემდეგ კი გარდაცვალებულთა წიგნში.

ნაპოვნი ბავშვის შესახებ აცხადებს ის პირი — ვინც კი იპოვის ბავშვს, ბავშვის დედმამად ითვლებიან ის პირნი, რომლნიც არიან ჩაწერილნი მშობლებად დაბადებულთა წიგნში. თუ წიგნებში არ მოიპოვება ცნობა მშობლებთა შესახებ, ან ეს ცნობები არ არის სრული და სინამდვილეს არ შეეფერება, დაინტერესებულ პირთ აქვს უფლება სასამართლოს წესით გაასწორონ ასეთი ცნობები და დაამტკიცოს, თუ ვინ არის მისი დედ-მამა. თხოვნით უნდა მიმართოს იმ ადგილის სახალხო სასამართლოს, საცა დაინტერესებული პირი ცხოვრობს. ის ბავშვები, რომელნიც ჩამამავლობენ რეგისტრაციის ქმნილ ქორწინებიდან, იწერებიან მშობლების გვარზე (იმ გვარზე, რომელიც აქვთ არჩეული მშობლებს ქორწინების დროს).

რაც შეეხება იმ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც ქორწინებაში არ არიან, შეუძლიან ატარონ ან მამის, ან დედის გვარი ან და შეერთებული მათი გვარი, ამისთანა შემთხვევაში გვარს უწესებს დედმამა, და თუ მათი შეთანხმება არ მოხდა, მაშინ ბავშს გვარს აძლევს სახალხო სასამართლო. თუ ერთი მშობლებთაგანი სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომია ბავშვის ქვეშევრდომობა წესდება მშობ-

ლების წინასწარ შეთანხმებით მათი ქორწინების ჩაწერის დროს. თუ ამ გვარი შეთანხმება არ არის ან არ მოხდა, ბავშვი სრულ წლოვანობამდი ითვლება საქართველოს მოქალაქედ. შემდეგ კი მას შეუძლიან დარჩეს ან ისევ საქართველოს ქვეშევრდომად, ან და მიიღოს ქვეშევდომობა მეორე მშობლისა (არა ქართველისა). მშობლებს შეუძლიათ აღნიშნონ თუ რომელ სარწმუნოების აღმასრულებელი უნდა იყოს მათი შვილი 14 წლამდი. თუ ეს არ მოხდა, ბავშვი 14 წლამდი არ ეკუთვნის არც ერთ სარწმუნოებას. შეთანხმება ამ საგანზე უნდა იყოს წერილობითი.

მშობლების უფლება შვილებზე ვრცელდება 17 წლამდი (ვაჟებზე) და 15 წლამდი (ქალებზე).

გარდაცვალების შესახებ ჩაწერა ხდება ამ გვარად: მოქალაქის გარდაცვალების შესახებ განცხადება უნდა შეიტანოს მიცვალებულის ახლობელმა ან ნათესავმა და თუ ესეთი პირები არ აღმოჩდნენ — მაშინ მეზობლებმა, ან საადმინისტრაციო დაწესებულებამ, რომლის რაიონში მოხდა მოქალაქის გარდაცვალება. მკვდრის პოვნის შესახებ განცხადება შეაქვს აგრეთვე მპოვნელსაც. სიკვდილის შესახებ განცხადებაში აღინიშნება: 1) გარდაცვალების თვე და რიცხვი, 2) ადგილი გარდაცვალებისა, 3) მიცვალებულის სქესი, 4) მიცვალებულის სახელი, მამის სახელი და გვარი, აგრეთვე მისი სახელი, 5) სიკვდილის მიზეზი, 6) სახელი და ბინადრობა ექიმისა, რომელმაც გასცა გადაცვალების მოწმობა და № მოწმობისა, 7) დაკრძალვის ადგილი, 8) მიცვალებულის წლოვანობა ან თარიღი მისი დაბადებისა. 9) მისი ოჯახური მდგომარეობა (ცოლიანი, ქმარიანი, განქორწინებული და სხვა), 10) სახელი, გვარი და ბინადრობა გამცხადებელისა და თუ არის სხვა რამ კიდევ ღირსი აღნუსხვისა,-შეტანილ უნდა იყოს განსაკუთრებულ შენიშვნებში. გადაცვალების შესახებ განცხადება უნდა იყოს შეტანილი არა უგვიანეს სამი დღისა დღიდან გარდაცვალებისა. ამავე გარდაცვალებულთა წიგნში იწერება ის შემთხვევაც, როცა სასამართლო სცნობს რომელიმე პირს გარდაცვალებულად. ცხოვრებაში მოხდება ხოლმე ისე რომ დანამდვილებით ვერავინ დაამოწმებს, რომ ესა თუ ის პირი გარდაიცვალა, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აგეთი პირი ცოცხლებში აღარ არის, მაგალითად კაცი გადავარდა წყალში და მას შემდეგ აღარსათ აღარ სჩანს და გვამიც მისი ვერ იპოვეს, ან და დანამდვილებით ცნობილია, რომ რომელიმე პირი გემით გავიდა ზღვაში, გემი დაიღუპა და ის პირიც აღარ სჩანს. ამის გამო სასამართლო ადგენს, რომ ეს პირი ცოცხლებში აღარ არსებობს და ამის შესახებ ატყობინებს თავის დადგენილებით ადგილობრივ მ. მ. ა. ჩის განყოფილებას, რომ ესეთი პირი იყოს ჩაწერილი გადაცვალებულად. აგრეთვე სასამართლოს დადგენილებით, აღინუსხებიან უგზო უკვლოდ დაკარგულნი. ამ გვარ შემთხვევებისთვის არსებობს განსაკუთრებული წიგნი. ადგილობრივი. მ. მ. ა. ჩის განყოფილება მოვალეა, არა უგვიანეს ო[illegible] დღისა ჩაწერის შემდეგ, აცნობოს სათანადო თ[illegible] მაზრის ან ქალაქის რევკომს მოქალაქის გარდ[illegible] ვალება, მიცვალებულად ცნობა, ან და მისი უ[illegible] ლოდ დაკარგვა.

ადგილობრივ მ. მ. ა ჩის განყოფილება აწ[illegible] მოებს აგრეთვე იმ წიგნებსაც, სადაც აღინუსხ[illegible] გვარისა და სახელის გამოცვლა, გვარის და სა[illegible] ლის გამოცვლა შეუძლიან ყველას, ეს ხდება [illegible] ვისაც სურს გვარის ან მეტი სახელის გამოც[illegible] მიმართავს ადგილობრივ მ. მ. ა ჩის განყოფილ[illegible] განცხადებით, თან უნდა დაერთოს თავის პირ[illegible] ნების დამადასტურებელი საბუთები. ამის შეს[illegible] ადგილობრივი განყოფილება შეადგენს ოქმს [illegible] არა უგვიანეს ორი კვირისა ამის შესახებ გამო[illegible] ხადებს მთავრობის გაზეთში და აგრეთვე შეატ[illegible] ბინებს იმ დაწესებულებას, რომელიც აწარმო[illegible] სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სიებს. უკანასკნელი ხდება იმიტომ, რომ ბოროტმო[illegible] დები გვარის გამოცვლით არ მიიმალნენ)- [illegible] თვის შემდეგ დღიდან გაზეთში გამოცხადებისა, [illegible] პირს რომელმაც ისურვა გვარის გამოცვლა, [illegible] უფლება მოითხოვოს, რომ იგი იყოს შეტან[illegible] ახალი გვარით ყველა მოქალაქობრივ მდგომარ[illegible] ბის აქტებში.

IV

ქორწინების ჩაწერა.

ქორწინება ითვლება კანონიერად მხოლ[illegible] როდესაც იგი იქნება ჩაწერილი ადგილობრივ [illegible] ა ჩის განყოფილებაში, ე. ი. კანონიერ ქორწინ[illegible] ითვლება მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქობრ[illegible] ქორწინება და არა ეკლესიური. ამ უკანასკნ[illegible] არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს, და [illegible] ვითარ მოვალეობას ცოლქმარ შორის არა ჰბად[illegible] მექორწინეთ შეუძლიანთ, თავიანთი რწმენის მ[illegible] დვით, თუ კი �ას მოისურვებენ, შემდეგ ჩაწერ[illegible] ადგილობრივ მ. მ. ა ჩის განყოფილებაში, ჯვარი [illegible] იწერონ ეკლესიაში. თუ მხოლოდ ეკლესიაში [illegible] წერეს ჯვარი მოქალაქეებმა, მათი ქორწინება [illegible] ჩაითვლება კანონიერად ე. ი. სახელმწიფო [illegible] სცნობს მათ ცოლ ქმრად.

ცნობილია ისტორიით, რომ რელიგიამ (ს[illegible] წმუნეობამ, სამღვდელოებამ) აიღო ქორწინ[illegible] თავის განკარგულებაში და სცნო იგი ღვთაებ[illegible] მფართველობის ქვეშ. ქრისტიანური სარწმუნ[illegible] ქორწინებას (ჯვრისწერას) უცქერის როგორც [illegible] იდუმლოებას ე. ი. ჯვრის წერის დროს ვითომ [illegible] ღვთაება იღებდეს მონაწილეობას. ამ გვარი შ[illegible] დულობა სამღვდელოებას აძლევდა დიდ მნიშ[illegible] ლობას, ჯვრის-წერაზე. ქორწინების ბედიბ[illegible] გადამწყვეტი იყო მხოლოდ სამღვდელოება.

დ. მ—ძ[illegible]

(შემდეგი იქნება)

ფინანსთა კომისარიატის ორგანოები, ხოლო რევკომებს დავალებული აქვთ მხოლოდ დახმარების გაწევა და ისიც ძაშინ, თუ ამას ფინანსთა კომისარიატის ორგანოები სთხოვენ.

მე მიგითითებთ კანონიერების დარღვევის თვალსაჩინო მაგალითებზე თემთა და რაიონების რევკომების-მიერ და თქვენ თვით, როგორც ჩემზე უფრო ახლო მდგომ ორგანოებს მათთან, რასაკვირველია, მეტი მაგალითები გეცოდინებათ და თქვენი ვალია გამოაშკარაოთ ყველა ის, აღნიშნოთ მისი მთავარი მიზეზები და ადგილობრივად მიღებულ გამოცდილობის მიხედვით მიგვითითოთ იმ საშუალებებზე, რომლის განხორციელებითაც შესაძლო იქნება ამ ნაკლის ძირიანად აღმოფხვრა თუ არა, თანდათანობით მოსპობა მაინც.

კონკრეტიული მაგალითების მოყვანა ძლიერ შორს წაგვიყვანდა და იგი არც საჭიროა, რადგანაც საერთო სურათი თემთა და რაიონთა მოღვაწეობისა სხვა და სხვა მაზრებში ძლიერ წააგავს ერთმანეთს და ეს გარემოება გვაიმედებს, რომ ამ ყრილობაზედვე და ცენტრალურ დაწესებულებებშიც გამოძებნილ იქნება საერთო ნორმები და საფუძვლები მათ მოსასპობად.

განყოფილების დაკვირვებით ყველა აღნიშნული ნაკლი არ შეიძლება მხოლოდ რევკომთა პირად შემადგენლობას მიეწეროს. მართალია, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მათ შორის ბევრი იყო კრიმინალური პირები, ბევრი გულწრფელი, მაგრამ სრულიად მოუმზადებელი მუშაკი და მათს მოქმედებასაც ბევრი უკანონობა მოჰყვა თან, მაგრამ მასვე ძლიერ შეუწყო ხელი გაოდამავალი ხანის მიერ შექმნილმა პირობებმა და საბჭოთა ძალა-უფლების დამყარების პერიოდში ცენტრთან კავშირის უქონლობამ. ადგილობრივი ძალების მუშაობა ამ პეროიდში დაუფასებელია საბჭოთა სახელმწიფოსათვის, როდესაც ძველი მთავრობის ორგანოების სრული დამლის შემდეგ, ადგილობრივ აღმოცენდა სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელმაც, რასაკვირველია, ხელი შეუშალა ბოროტ-მოქმედების განვითარებას და საზოგადოთ, შეიძლება ითქვას, შედარებით უმტკივნეულოდ ჩაატარა მართველობის შეცვლა, რასაც ჩვეულებრივ უმეტეს ქვეყნებში დიდი შეხლა-შემოხლა მოსდევს თვით ადგილობრივ მცხოვრებთა მორის და ხშირად ეკონომიური განადგურებაც მთელი კუთხეებისა, რასაც ადგილი არ ჰქონია საქართველოში, რაც უპირველესად თვით ქართველ ხალხის შეგნებას და თვით ცნობიერებას უნდა მიეწეროს და შემდეგ, საბჭოთა ადგილობრივ ორგანოების დახმარებას და მოღვაწეობას.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებათა ნაკლზე მისთვის შევაჩერეთ თქვენი ყურადღება ამდენ ხანს, რომ წარსულ მუშაობის ნაკლულევანების გათვალისწინებით გვინდა მომავალი მუშაობისათვის სამოქმედო გეზი გამოვსძებნოთ და გადაგიშალოთ ის გეგმა, რომლის შესრულებასაც უნდა მოანდომოთ თქვენ-ახლოესი სამი თვე, როდესაც, თანახმად არსებულ ინსტრუქციისა კიდევ შევიკრიბებით საერთო ყრილობაზე. კვლავ განვიხილავთ წარსულის ნამოქმედარს, ხოლო საბჭოთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ გასულ ექვსი თვის მუშაობამ ადგილობრივი ორგანოებისა დაგვარწმუნა, რომ უახლოესი სამი თვის განმავლობაშიც უნდა გაგრძელდეს შემდეგი მუშაობა:

1. შერჩევა ადგილობრივი ორგანოების წევრებისა. ამ მხრივ უმთავრესი ყურადღება კომისარიატისა და თქვენიც უნდა გადატანილ იქმნას მცირერიცხოვანებისაკენ, რადგანაც განვლილი დროის განმავლობაში მათ ნაკლები ყურადღება ექცეოდა სამაზრო რევკომების სათანადოთ მეუწყობლობისა გამო, ამჟამათ-კი ეს საქმე შედარებით დამაკმაყოფილებლად არის მოგვარებული და გაორკეცებულ ენერგიით უნდა შეეცადოთ სათემო რევკომებისა შემადგენლობის გაწმენდას. სათემო რევკომი, როგორც პირველი საფეხური მართველობისა ყველაზე უფრო დაახლოებულია ხალხთან, მასასთან ქართველი ეროვნების უმეტესობა სოფლის რევკომების მიხედვით სჯის და აფასებს საბჭოთა მთავრობას.

ამის შემდეგ დამეთანხმებით, რომ ამ პირველი საფეხურის მოწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი წესწყობილებისათვის და ყოველი ღონე უნდა იქნეს ნახმარი, რომ გაიწმინდოს სოფლის რევკომები პირველ ხანებში — იქ მოკალათებულ არა შესაფერ და არა სანდო პირებისაგან. განვლილ ექვსი თვის განმავლობაში ამ მხრივ ბევრი იყო გაკეთებული, მაგრამ უფრო ბევრი დარჩა გასაკეთებელი, რადგან თემის რევკომების უმეტესობა-ში არც-კი შეუხედნია ცენტრის სხვა რომელიმე ორგანოს წარმომადგენელს.

2. პირადი შემადგენლობის შესარჩევად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საანკეტო ფურცლებს, რომელნიც დიდი ხანია გამოგიზავნეთ ჩვენმა განყოფილებამ შესავსებათ, მაგრამ დღემდე მაზრებისა უმეტესობას არ წარმოუდგენიათ იგი. თუ მიუხედავად დღევანდელ ყრილობის ინსტრუქციის მოთხოვნილებისა, არც თქვენ მოხსენებაშია მოყვანილი საანკეტო ცნობები, ადგილობრივ დაბრუნებისთანავე შეუდექით ამ ნაკლის შევსებას; სამაზრო ერთეულების შესახებ ეს ცნობები საჭიროთ ჩქაროთ მოგვაწოდეთ, ხოლო სათემო და საერაიონო რევკომების შესახებ ადგილობრივ დააგროვეთ და ისიც მოგვაწოდეთ. საანკეტო ფურცლებში მოყვანილი კითხვები სრულიად საკმაოა ამა თუ იმ მოხელის ან რევკომის წევრის ვინაობის გასაცნობად და როდესაც მას, სამსახურის საქმეების გამო მცირე ურთი-ერთობაც დაერთვის, თქვენ სულ მალე გაერკვევით თუ რაგვარ პიროვნებასთან გაქვთ საქმე.

3. უნდა გაგრძელდეს საინსტრუქტორო მუშაობა. ამ მუშაობის ცენტრი ცოტათი უნდა გადაიხაროს პროვინციებისაკენ. ყოველი მაზრის რევ-

მოხსენება.

შ. ხ. ს. კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფ. განყოფილებისა.

(შემდეგი *).

ამ მხრივ პირველად ყოვლისა აღსანიშნავია სიღნაღის მაზრა. ძაზრის დეტალურმა რევიზიამ გამოარკვია, რომ არც ერთ სათემო და სარაიონო რევკომძი საქმეები არ არის სწორედ დაყენებული, ათსად არ არის მოწყობილი წესიერად კახცელარია და მამასადამე, ცხადია საქმეებიც ვერ სრულდება თავის დროზე და თანახმად ცენტრალურ ოგანოთა მოთხოვნილებისა. დაახლოვებით იგივე ითქმის ბევრ სხვა მაზრებზედაც, სადაც განსაკუთრებით კოჭლობს იგივე კახცელარიის საქმე, რაც უნდა მიეწეროს საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებების სუსტ ძეთვალყურეობას და საინსტრუქციო მოლვაწეობას ნაკლებ განვითარებას. აღნიძულმა გარეგნებამ და აგრეთვე იმანაც, რომ ქვეგანყოფილებები გვიან მოეწყენეს მაზრებში საჭირო ძეიქმნა კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების მუშაობის გადატანა მციოე ერთეულებში. აძის შედეგია ზემოხსენებული რევიზია სიღნაღის და სხვ. მაზრებისა. კომისარიატის განყოფილების აგენტებმა დროგამოშვებით დაათვალიერეს თითქმის ყველა მაზრის რაძოდენიძე საარაიონო და სათემო რევკომები. ჩვენძა ძოხელეებძა მოიარეს მთელი სიღნაღის მაზრა, ნაწილი თელავის მაზრისა, ამჟამად საგანგებოდ მივლინებული აგენტი ათვალიერებს თიანეთის მაზოას. იგივე აგენტები იყვნენ ბორჩალოს მაზრის ვორონცოვკის, წალკის, შულავერის რაიონებში, თბილისის ძაზრაში, გორის მაზოის სურამის, ხაშურის, ახალქალაქის, მეჯვრისხევის და სხვ. რაიოხებ ძი. აგრეთვე ხაწილობოივ დათვალიერებულია ახალციხის და ახალქალაქის მაზრები და ყოფილი ქუთაისის გუბერნიის ყველა ძაზრები ხაწილობრივად, რომელთა შორის განსაკუთრებით კანონიერების განძტკიცების მხრივ ყურადღებას იპყრობს ოზურგეთის მაზრა. ინსტრუქტორებისა და აგენტების მოხსენებებიდან მიღებული საერთო შთაბეჭდილება გვარწმუნებს, რომ დათვალიერებულ რაიონების და თემების ხელისუფალთ სწორედ არა აქვთ გაგებული საბჭოთა საქართველოს ცენტრალური ძთავრობის სახელმძღვანელო პრინციპები და მათი ძოქმედება ხშირად ძის სრულიად საწინააღმდეგო ნაბიჯებს წარმოადგენენ. უკანონო და შეუფერებელ მოქმედების ძორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს უკანონო რეკვიზიციებს, როდესაც თემის თუ რაიონის რევკომები, სხვა და სხვა ხშირად გამოურკვეველ მიზეზებისა გამო ართმევენ მცხოვრებთ ბინებს, სურსათ-სანოვაგეს, გადასაზიდ საჭურველებს, ცხენს, ურემს და გარდა ამისა ბევრ — შემთხვევები, როდესაც ტანისამოსიცკი ჩამოურთმევიათ. შემდეგ ამისა აღსანიშნავია უმიზეზოდ დაპატიმრება მოქალაქეებისა და აგრედვე უმიზეზოდ განთავისუფლება, ბოროტ-მოქმედებათა წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღებლობა და სხვ.

აღსანიშნავია აგრედვე უფლება-მოვალეობათა არევ-დარევა სხვა და სხვა უწყების დაწესებულებათა შორის. რაც განსაკუთრებით თემთა რევკომებს ემჩნევა. იყო შემთხვევები იუსტიციის კომისარიატის წარმომადგენელთა დაპატიმრებისა სიღნაღის და სამხრეთ ოსეთის მაზრაში, რაც სრულიად დაუშვებელი და წარმოუდგენელია საბჭოთა სახელმწიფოში, რადგან სასამართლოს პრესტიჟის მაღლა დაყენება უპირველესი საკითხია სახელმწიფოსათვის, ხოლო სასამართლოს მოღვაწეთა დატუსაღების ან გადაყენების უფლება მხოლოდ იუსტიციის სახალხო კომისარსა აქვს.

უკანასკნელად თქვენს ყურადღებას შევაჩერებ მცხოვრებთა უკანონო დაბეგვრაზე ფულით. არის კიდევ სხვა სახის მაგალითებიც კანონიერების დარღვევისა ხელისუფალთა-მიერ, მაგრამ ყველა მათი განხილვა ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

მოყვანილ მაგალითებზე მისთვის შევჩერდით, რომ ყველა აღნიშნულ მოვლენათა შესახებ არსებობს ცენტრის დეკრეტები და მიუხედავად ამისა, მის გამოცემამდეც და შემდეგაც გრძელდება უკანონო მოქმედება ადგილობრივ ხელისუფლებისა. თანახმად არსებული წესებისა მაზრის, თემის და რაიონის რევკომებს სრულიად არ აქვთ რეკვიზიციის უფლება არც ბინის, არც სურსათის და მით უმეტეს ტანისამოსისა, მათ შეუძლიათ სათანადო შუამდგომლობის აღძვრა სათანადო სახალხო კომისრის წინაშე. მოქალაქეთა დაპატიმრებაც განსაზღვრულ კალაპოტშია ჩაყენებული, პოლიტიკურ დანაშაულობისა, სპეკულიაციისა და სხვ. საწინააღმდეგოდ ზომების მიღება დავალებული აქვს პოლიტ-ბიუროს, სხვა სახის ბოროტმოქმედებისათვის რესპუბლიკის მილიციას, ხოლო რევკომმა აქ მხოლოდ, თუ საჭიროდ იქნება ცნობილი, მიმთითებელი როლი შეიძლება ითამაშოს; რევკომი კანონიერების ბურჯად უნდა იყოს ადგილობრივ სინამდვილეში-კი, იგი თვით არღვევს კანონიერებას და უმიზეზოდ აპატიმრებს მოქალაქეთ. იგივე ითქმის დაბეგვრაზედაც, რომლის უფლება პროვინციაში არავის არ აქვს; დაბეგვრა, როგორც საერთო ეკონომიური ზომა საქართველოს რევკომის დადგენილებით შეიძლება მოხდეს, ხოლო ადგილობრივ მცირე საჭიროებისათვის ფინანსთა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრების შეთანხმებით და არამც და არამც ადგილობრივი ორგანოების განკარგულებით. კანონი ამ შემთხვევაში მათ არა თუ დაბეგვრის, არამედ ამსრულებლის როლსაც არ აკუთვნებს, ამისათვის არსებობს

*) იხ. „მოამბე“ № 23.

აღნიშნავენ დამთეს კომისიების უმოქმედობას, რამაც გვაიძულა სრულიად დაგვეთხოვა ისინი რაჭის მაზრიდან. იგივე ორატორი მიუთითებს კომისარიატს რომ აუცილებელია რაჭის მაზრის გლეხობის გაღასახლება მიწით მდიდარ რაიონებში.

ამხ. მაღრაძე და შოგირაძე ხაზს უსვამენ საქონლის ჭირის გავრცელებას და საქონლის დაღუპვას ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში, რომელნიც ერთად-ერთ მდიდარ რაიონებად ითვლებიან ამ მხრივ მთელს რესპუბლიკაში; ამასთანავე ამხ. მაღრაძე მოითხოვს სასოფლო იარაღების შეძენას და დარიგებას სოფლის მეურნეთათვის, რომელიც კიდეც შეუძენიათ, მაგრამ რაღაც მიზეზებით საწყობებში ჟანგდებაო, (ამასვე ეხება თავის სიტყვაში ამხ. მამულიაც) ხოლო ამხ. შოგირაძე მოითხოვს არსებული სასოფლო მეურნეობის ამხანაგობათა მდგომარეობის გამორკვევას.

გარდა ამისა თითქმის ყველა ორატორი საჭიროდ სცნობდა მიწად-მოქმედების კომისარიატის ადგილობრივ ორგანოების (საადგილ-მამულო კომიტეტი, აგრარული განყოფილება, დამთესი კომისიები და სხვ.) გაერთიანებას და ერთი რომელიმე ორგანოს დამორჩილებას.

მომხსენებელი თავის საპასუხო სიტყვებში ჯგუფებათ ანაწილებს შეკითხვებს და საკამათო სიტყვებს და შესაფერ პასუხს აძლევს ყველა ორატორისმიერ წამოყენებულ შენიშვნას თუ ბრალდებას. ზოგიერთ მათგანს სამართლიანად სცნობს და აღუთქვამს, რომ მომავალში იგი გამოსწორდება. ამასთანავე აღნიშნავს, რომ მუშაობის სისრულეს ძლიერ უშლის ხელს სპეციალისტების ნაკლებობა, მაგალითად სატყეო საქმეში, რაც აიძულებს კომისარიატს ზედმეტი სიფრთხილით მოეპყრას სპეციალისტებს. გარდა ამისა ბევრი ნაკლი ადგილობრივ შეინიშნება და სანამ ცენტრი გაიგებს თქვენ თვით შეგიძლიათ მიიღოთ საწინააღმდეგო ზომები, რის უფლებაც გაქვთ და ვალდებულნიც ხართ. საზოგადოთ კი მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კომისარიატის მუშაობა, მიუხედავად მრავალმხრივი დაბრკოლებისა, სწორ გზაზე სდგას და იგი, შეძლებისა დაგვარად, განხორციელებს საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ მიზნებს.

კამათის დასრულების შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „სამაზრო რევკომების თავმჯდომარეების და მათი მოადგილეების ყრილობამ მოისმინა-რა მიწად-მოქმედების კომისრის მოადგილის ამხ. ქოქაძვილის მოხსენება კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ, დაადგინა: 1. მოხსენება ცნობილ იქმნას არა დამაკმაყოფილებლად. 2. მიენდოს კომისარიატის კოლეგიას, რათა უკანასკნელმა მთავარი ყურადღება მიაქციოს ადგილებიდან აღნიშნულ დეფექტების გამოსწორებას. 3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კომისარიატმა ადგილობრივ მიწის კომიტეტის მოქმედებას და საჭაროდ დაუგზავნოს მათ დირექტივები და ცირკულიარები მიწის რეფორმების, ეანახმად მიწის დეკრეტისა, განხორციელებას. 4. გაერთიანებულ იქმნას ერთ ორგანოში მიწად-მოქმედების კომისარიატის ყველა ადგილობრივი ორგანო. 5. გამომუშავებულ იქმნას ტყის ნორმა, რომელიც უნდა დარჩეს კერძო მესაკუთრის მფლობელობაში, 6. გაუქმებულ იქმნას ის კომუნები, რომელთა წევრებად არა მშრომელნი ითვლებიან და 7. მიღებულ იქმნას ზომები რესპუბლიკის მცხოვრებთათვის სათესლეს და აბრეშუმის ჭიის თესლის მისაწოდებლად.“

(შემდეგი იქნება)

სამაზრო რევკომებში.

4. თელავის მაზრა.

თელავის მაზრის მდგომარეობის და ხელისუფლების ორგანოების მოღვაწეობის შესახებ, შ. ს. ს. კომისარიატს, საკმაოდ მდიდარი მასალა მოეპოება. წარმოდგენილია ორი ვრცელი მოხსენება თვით მაზრის რევკომისა ა. წ. 24 ივნისს და მეორე 10 ნოემბერს. ამას გარდა, როდესაც შ. ს. ს. კომისარიატის საინსტრუქტორო და საინფორმაციო განყოფილებამ კომისარის დავალებით მოიწვია პირველი მაზრის რევკომებთან არსებული საინსტ.-საინფ. ქვეგანყოფილებათა გამგეების ყრილობა, თელავიდან ამ ქვეგანყოფილების გამგემ ვრცელი მოხსენება წარმოადგინა 10 სექტემბრისათვის.

პირველი მოხსენებიდან (24 ივნისის თარიღით) სჩანს რომ ახალი ხელისუფლების დამყარება მაზრაში სრულიად უმტკივნეულოდ მომხდარა. მენშევიკების ხელისუფლების წარმომადგენელთა წასვლის დროს, მათ თან წაეღოთ რისი წაღებაც შეიძლებოდა და წაეღოთ აგრეთვე ხაზინაც, მაგრამ გზაში წითელ არმიელებს ჩამოერთმიათ. დაწესებულებანი დარჩენ აწეწილ-დაწეწილნი, დოკუმენტები და სხვადასხვა საბუთები განგებ დამწვარი. სანამ მკვიდრ ნიადაგზე დადგებოდა ახალი ხელისუფლება ადგილობრივ, მთელ მაზრაში და განსაკუთრებით კი იმ ადგილებში, რომელიც დაშორებულია თელავს, გავრცელდა ძარცვა-გლეჯა. მაგრამ მაზრის რევკომი თანდათან ღებულობდა მკაცრ ზომებს და ბევრი ნაძარცვი იქნა აღმოჩენილი, დამნაშავე—დაპატიმრებული და წესრიგი დღითი დღე, უფრო და უფრო მყარდებოდა. მაზრის რევკომმა პირველ დროიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია რევოლიუციონერი წესრიგის დაცვას და იმ პირების აღაგმვას, რომლებმაც მოინდომეს და პირველ ხანებში შესძლეს კიდეც, მომხდარი ცვლილებით სარგებლობა პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ათიოდე დღის განმავლობაში, რევკომმა შესძლო წესიერების აღდგენა და ანარქიის მოსპობა. თავდაპირველად რევკომმა საჭიროდ დაინახა მცხოვრებთა და არა საიმედო პირთა გა-

ნიარაღება და ეს ოპერაცია რევკომმა უნაკლოდ ჩაატარა.

მაზრაში (მოხსენებაში ნაგულისხმევ პერიოდში) სრული სიწყნარე დამყარდა;

პოლიტიკური მდგომარეობა მაზრაში მტკიცეა და მაზრის რევკომს ეს უადვილებს მუშაობას.

თელავის მაზრის რევკომი ივნისამდე ხუთი წევრისაგან შესდგებოდა, მთელი მაზრა ადმინისტრატიულად დაყოფილია 5 რაიონად და არის აგრეთვე 5 სარაიონო მილიცია. თემის რევკომი კი იყო 41. მაზრის რევკომთან დაარსებულია 17 განყოფილება და ქვეგანყოფილება. ივნისამდე არ იყო მოწყობილი მხოლოდ მოქალაქეთა მდგომარეობის სიგელთა ჩამწერი და იძულებითი მუშაობის განყოფილება, თელავში არსებობენ: პროფბიურო, გრუსტა, პოლიტ-ბიურო და სხ. ხელისუფლებათა განყოფილებანი. ყველა დაწესებულება მუშაობს ნორმალურად, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული ბინის სივიწროე და საერთოდ ბინის საკითხის გამოურკვევლობა.

1921 წ. 16 მაისს მაზრის რევკომმა მოახდინა თემის რევკომების თავმჯდომარეების პირველი ყრილობა, რომელიც დიდის ხალისით ჩატარდა (ყრილობის ანგარიშებზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი).

ეკონომიური მდგომარეობა მაზრაში ცუდია. სასურსათო საკითხიც გამწვავებულია. შარშან სეტყვამ გაანადგურა თელავის მაზრის ერთი მეოთხედი და ნოტიო გაზაფხულმა კი ხელი არ შეუწყო კარგს მოსავალს. სიცივისაგან დაიხოცა დიდძალი საქონელი; დიდი ნაკლებობაა თივისა და ბზისა და ახალი ჭირნახულიც გაფუჭების გზას ადგია. წელს მხოლოდ, როგორც მოხსენებიდან სჩანს, მოლოდინს გადააჭარბებს ყურძნის მოსავალი.

დამთესმა კომისიამ დიდი სამსახური გაუწია ხალხს. მან დაახლოვებით 30—40 ვაგონი ხორბალი მოამარაგა რესპუბლიკისათვის.

თელავის მაზრის რევკომის მიწათ-მოქმედების განყოფილება შესდგება 7 ქვეგანყოფილებისაგან. მიწის რეფორმის გატარება დაწყებულია, დაარსდა მიწის კომიტეტები, მაზრა 11 უბნათაა დანაწილელი და მიწის მზომელნი ყოველ უბანში მუშაობენ განყოფილების დირექტივების მიხედვით. მიწის საკითხის გარშემო, როგორც სხვა მაზრებში ამჟამ-დიდი მოძრაობაა. დიდძალი საჩივარი [illegible] ატეხილი. განყოფილებას ამის გამო [illegible] ლი გამოძიების წარმოება და კომისიების შედგენა პირველ ხანებში მიწების და მამულების დატაცებას ჰქონდა ადგილი.

მაზრაში მცხოვრებთ დიდი სურვილი აქვთ კომუნალური და არტელის წესით მეურნეობის შემოღებისა. ბევრ შემთხვევაში ასეთი კომუნა და არტელი არ ამართლებს თავის დანიშნულებას არც კლასიური შემადგენლობის და არც წესების მხრივ.

მაზრაში ერთი უდიდესი გამწვავებული საკითხთაგანია სასურსათო საკითხი. უძთავრესად მძიმე პირობებშია ხელმოკლე მოქალაქე და საბჭოთა მოსამსახურენი. გარდა თითო გირვანქა და ისიც ცუდი ღირსების ბჭადისა მოსამსახურეთ არაფერი არ ეძლევათ. სანოვაგის ფასი ძალიან ძვირია და თანდათანობით კიდევ მატულობს, იმიტომ, რომ ვაჭრობა თავისუფალია და სპეკულიანტებს გააქვთ მაზრიდან სურსათ-საოვაგე. ივნისის თვეში თელავის ბაზარზე პური ღირდა გირვანქა 4000 მანეთი, ბჭადი 2500 მან., შაქარი 30,000 მან. საპონი 40,000 მან. ასე რომ სანოვაგე, საერთოდ თფილისთან შედარებითაც კი უფრო ძვირი იყო თელავში.

რევკომი დიდ ყურადღებას აქცევდა მაზრაში მრეწველობის განვითარებას. და ამიტომ რევკომთან დაარსებულ იქნა ეკონომიური განყოფილება სამი ქვეგანყოფილებით: 1) სამრეწველო, 2) საალმშენებლო და 3) სატეხნიკო. მოეწყო საბჭოთა ჩექმების და სახარაზო სახელოსნოები, რომლებშიც ასამდე მუშა მუშაობს, ეწყობა აგრეთვე დაბახანა ტყავეულობის დასამუშავებლად. სოფ. ყვარელში სრულდება ყოფილი ერობისაგან დაწყებული წისქვილის გამართვა, რომელიც ელექტრონის მანქანასაც და აგრეთვე სახერხი ქარხანასაც აამუშავებს. ასეთივე წისქვილის მოწყობა განზრახულია ფშაველში. მაზრაში ძალიან გავრცელებულია საფეიქრო ხელობა. რევკომი იღებს ზომებს ამ ხელობის გასავითარებლად.

დიდად აბრკოლებს მაზრაში მუშაობას უტრანსპორტობა და ფულის ნიშნების უქონლობა. ყველა დაწესებულება დროზე, საჭირო თანხას ვერ ღებულობს და ეს კი ხელს უშლის მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას.

ცალ-ცალკე განყოფილებათა და ქვეგანყოფილებათა მოხსენებებიდან შემდეგი ირკვევა:

სამმის საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებამ უნდა იკისროს მაზრის ყველა სათემო და დრაიონო რევკომის ჩამოვლა და გასწიოს იქ ლემდეგი მუშაობა: დათვალიეროს საერთო კანცელარია და სადაც ის ჯეროვანად არ არის მოწყობილი, თვის თანდასწრებით აუხსნას და მოაწყოს მაგი ადგილობრივ. ამავე დროს გაეცნოს პირად ; ქემადგენლობას, შემდეგ გამოსარკვევია, თუ რამდენ რგანყოფილებას შეიცავს ყოველი თემის რევკომი. ივენ ცნობები გვაქვს, რომ ბევრგან დაუარსებიათ ირრულიად არა საჭირო განყოფილებები და იმდენად ოიუფართოვებიათ სოფლის რევკომები, რომ მაზ-ალისას ალარ ჩამოუვარდებიან. ეს ყოველად დაუშვებელია, სათემო რევკომებისათვის არსებობს ცენ-ყოტრის-მიერ დამტკიცებული დებულება და არავის ლარ აქვს უფლება ცენტრის ნება დაურთველად და-ბირღვიოს იგი. თქვენი ვალია ადგილობრივ დათვა-ოლიერების დროს უმოწყალოდ დაშალოთ ასეთი ა-ზანყოფილებები და შეუფარდოთ ისინი დებუ-ლებას.

ეს მუშაობა პირველ შეხედვით თითქოს იო-ავლია, მაგრამ შესაძლოა ზოგიერთ მაზრის საინ-სტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებებს ლარ მოეპოვებოდეთ საკმაო ძალა და ეს გარემოება ქვეხლავე გაგვაცანით ყრილობაზე, რომ შესაფერისად ანგავანაწილოდ გამოცდილი მუშაკები მაზრებში და ითუ ეს არ მოხერხდება, იმ შემთხვევაში თვით სა-ალხო კომისარიატი იკისრებს ზოგიერთ მაზრაში ინსტრუქტორების გაგზავნას.

4. ადგილობრივ დათვალიერების დროს სე-რიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ადრეკვე მიღებულ საერთო ხასიათის დეკრეტების და ბრძანებების ასრულებას, ისე ჩვეულებრივ განკარ-გულებებისას. დათვალიერების დროს გამორკვეულ დუნდა იქმნას თუ როგორი სისწრაფით და სისწო-რით სრულდება დეკრეტები და განკარგულებანი და სადაც დათვალიერება დამაკმაყოფილებელ შე-ედეგებს არ მოგცემთ სისწორისა და სისწრაფის მხრივ თავის-თავად ცხადია ასეთი რევკომები ვერ არიან ჯეროვან სიმაღლეზე და სრულიად არ შე-ეფერებიან მომენტის მოთხოვნილებას.

5. გარდა ჩამოთვლილისა თქვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მეტად სერიოზულ საკითხს, რომელიც თითქმის ყველა რევკომში ვერ არის მესაფერისად მოწყობილი. მოგახსენებთ საინფორ-მაციო მუშაობაზე. ინფორმაციას დღევანდელ პი-რობებში, როდესაც ძირიანად იცვლება ექვსი თვის წინად არსებული უფლებრივ-ეკონომიური ნორმები, როდესაც თითქმის ყოველ-დღე გამოდის ცენტრის დეკრეტი თუ რაიმე სახელმძღვანელო დებულება, ასეთ დროს ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. თქვენ მოგეხსენებათ რომ კომისარიატი სცემს ჟურნალ „მოამბეს“, სადაც თავმოყრილია ცენტრის ყოველგვარი განკარგულება, ეს „მოამბე“ გამოსვლისათანავე საკმაო ეგზემპლიარებათ ეგზავ-ნებათ მაზრებს. ესეც არ იყოს საყურადღებო და თვალსაჩინო დეკრეტები და ცირკულიარები „მოამბეში“ დაბეჭდვამდინაც ყოველგან იგზავნება და მიუხედავათ ამისა ჩვენ ყოველთვის ამოგვდის საყვედურები არ მიგვიღია, არ გვყოფნის, ასეთი დეკრეტი, ცირკულიარი არ გადგვიცვნიაო და სხვ. ეს სრულიად დაუშვებელი მოვლენაა, ამის შესა-ხებ სპეციალური კითხვაც-კი არის დღევანდელ ყრილობის ინსტრუქციაში თქვენდა საპასუხოდ. ცენტრი უაღრესად დაინტერესებულია, რომ ყო-ველი მისი ნაბიჯი ელვის სისწრაფით გადადიოდეს პერიფერიებში და თქვენც მოგიწოდებთ სერიო-ზული ყურადღება მიაქციოთ ამ ნაკლის გამოს-წორებას.

იგივე ითქმის მეორე ხასიათის საინფორმაციო მუშაობაზე. ცენტრს სჭირდება ფართო და სწორი ინფორმაცია პროვინციის შესახებ, როგორც ხელის-უფლების ორგანოს მუშაობის შესახებ, ისე მცხოვ-რებთა განწყობილება—დამოკიდებულებაზე მათ-თან. მით უმეტეს ასეთი ცნობები სჭირდება ში-ნაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ხოლო დღემდი თქვენგან მიღებული ყველა მოხსენება ინფორმაციული ხასიათისა,—სრულიად არ შეიცავს საჭირო საინფორმაციო მასალას იქ კანტიკუნტად ეხებიან საერთო ცნობებს და შედარებით, დაწვრი-ლებით, რომელიმე უმნიშვნელო კონკრეტიულ ფაქტს, რომელსაც, რასაკვირველია ვერ დაეყრდ-ნობა ცენტრი და თვით ჩვენ გვიხდება ან სპეცია-ლური პირების გზავნა და ან a priori დასკვნების გამოტანა. მომავალში ეს მდგომარეობა ვერ გაგ-რძელდება და რომელი საისტრუქტორო-საინფორ-მაციო ქვეგანყოფილებაც ამ მოთხოვნილებას ვერ შეასრულებს, იგი ყოველ მიზეზს გარეშე შეუ-ფერებლად და თვისი დანიშნულებისათვის გამოუ-სადეგრად იქნება ცნობილი.

6. საინფორმაციო ნაწილის ჯეროვან სიმაღ-ლეზე დაყენებას ძლიერ შეუწყობს ხელს საკუთარი კანცელარიის რიგზე მოწყობა, რასაც უკანასკნე-ლად აღვნიშნავ. დღევანდელი ყრილობის მოსა-წვევ ინსტრუქციაში ბევრი ისეთი მუხლია შეტა-ნილი, რომელსაც იქნებ ვინმემ იფიქროს მნიშვნე-ლობა არ აქვსო, როგორც მაგალითად მუხლი 9 (საერთო რიცხვი მიღებულ განკარგულებების და სხვა), მაგრამ ჩვენთვის, როგორც მეთვალყურე ორგანოსათვის საერთო რიცხვს შესრულებული თუ შეუსრულებელი მოწერილობებისას, სათანადო განმარტებით, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვემდებარე ორგანოს საქმიანობის დასახასიათებ-ლად. როგორც ამ მოყვანილ მაგალითს (დღე-ვანდელ კრებისათვის წარმოსადგენ თქვენ მოხსე-ნებიდან), ისე ინსტრუქციის სხვა მუხლებსაც თქვენ ვერ შეასრულებთ თუ საკუთარი კანცე-ლარია არ გექნათ რიგიანად მოწყობილი და თუმცა პირველი შეხედვით, იქნებ ზედმეტიც იყოს ასეთ წვრილმანზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ რომ ჩვენი ადგილობრივი ორგანოების ორგანი-

1. ეკონომიური განყოფილების სამრეწველო ქვეგანყოფილების მოხსენებიდან სჩანს, რომ მის მუშაობას წინამორბედი არ ყოლია და საქმე თავიდან დაიწყო. ქვეგანყოფილების მთელი მუშაობა სამ სტადიათ უნდა დაიყოს: 1. ორგანიზაცია, 2. გეგმის შედგენა და 3. შედგენილი გეგმის ცხოვრებაში გატარება. ამას გარდა განყოფილება აწარმოებდა, ცენტრის ბრძანების თანახმად ამა თუ იმ წარმოების და საწარმოო იარიღის აღრიცხვას. მასვე ჰქონდა დაკისრებული სათბობი მასალის განაწილება: ქვეგანყოფილებამ შეიმუშავა და გამოარკვია ყოველი თანამშრომლის ფუნქცია და საერთოდ ორგანიზაცია სრულიად დაამთავრა. რაც შეეხება მეორე საკითხს, გეგმის შედგენას, შემუშავებულ იქნა საერთო ეკონომიური გეგმა კონკრეტიული წარმოების აღნიშვნით. შპალების დამზადება, აბრეშუმის სახვევი ქარხნის პროექტი, სახელოსნო „გუთნის“ გაფართოება, ფშაველის ელექტრონის წისქვილის და სახერხი მანქანის რემონტი. 3.000 კუბ. საჟენი შეშის დამზადება, ტყავეულობის ქარხნის გაფართოება და მისი ევროპიულად მოწყობა, საპნის ქარხნის გაფართოება და სხ. რაც შეეხება ამ გეგმების ცხოვრებაში გატარებას, განყოფილებას მოუწყვია ტყავეულობის ქარხანა, რომელიც მუშაობდა 4 თვის განმავლობაში და მერე შეჩერდა სათბობი მასალის უქონლობის გამო. ახლა, რაკი ცენტრიდან მიღებულ იქნა ნებართვა თრიმლის მოგროვების შესახებ, ქარხანა ისევ დაიწყებს მუშაობას, თუ ფული იქნება.

ერწოდან გადმოსული საპნის ქარხანამ სამჯერ აადგა საპონი და მისი მუშაობა შეჩერდება უფულობის გამო, რადგან ქონი ვერ იქნა შეძენილი. საპონი მოსამსახურეთ დაურიგდა. მიღებულ იქნა საქალამნე და სახარაზო სახელოსნო, რომელიც მუშაობდა ივნისამდე. შემდეგ მუშაობა შეჩერდა ნედლი მასალის უქონლობის და სხვა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო. დღეს კი სახელოსნოში ისევ აღდგენილია მუშაობა.

მოეწყო საქსოვი და სახვევი სახელოსნო, მაგრამ სუსტად მუშაობს უსახსრობის გამო. ყვარელის წისქვილი მუშაობს. სწარმოებს რემონტი ქალაქის ელექტრონის სადგურის და წისქვილისა. ეწყობა სამკერვალო სახელოსნო. დახმარება აღმოუჩინა ზემო ხოდაშენის წარმოებას. აღრიცხვაზე აღებულია მთელი ტეხნიკური მასალა, ყველა წარმოება, რომელსაც კი მექანიკური მამოძრავებელი ჰქონდა. განზრახულია ყველა სპეციის აღრიცხვა.

სათბობი მასალის განაწილების დარგში — ყველა წარმოება, რომელიც მაზუტით მუშაობს აღრიცხვაზეა აღებული და მომარაგებას საჭიროს შეუალებებით ხელს უწყობენ მათ, ცნობაშია მოყვანილი ეკონომიური განყოფილების მთელი მარაგი.

ალაზნის გაღმა მდებარე ტყეების გამოკვლევა მოხდა, გამოკვლეულია აგრეთვე რომან-ცემენტის და სპილენძის მადნიანი ადგილები. დამუშავება კი ფულზეა დამოკიდებული.

შეკეთებულ იქნა ყაზარმა თელავ-ახალსოფლის გზაზე. გაყვანილ იქნა სამი წყალსადენი: სოფ. ქვემო ხოდაშენში, რუისპირსა და ვარდისუბანში, სულ 4 ვერსტის სიგრძეზე. გაკეთებულ იქნა ჯებირები, წყლისაგან წალეკის თავიდან ასაცილებლად (მდ. ვიზის ხევი და სტორზე). შეკეთებულ იქნა რევკომის შენობა თელავში და სხ.

2. განათლების განყოფილებამ მუშაობა დაიწყო ა. წ. 1 მარტიდან. მან აღადგინა არსებულ შკოლებში მეცადინეობა. დაარსა მუშათა სახლი და ცენტრალური ბიბლიოთეკა. მოახდინა მასწავლებელთა რეგისტრაცია მთელ მაზრაში. დაარსა ხელოვნების მუშაკთა კავშირი, მოახდინა სამუსიკო იარაღების რეგისტრაცია; მოაწყო პირველ მაისის დღესასწაული, დარგულ იქნა ხეები და სხ. ჩაიბარა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების და ერისთავ-სუვაჩოვის კერძო პროფესიონალური შკოლა და სომეხთა კერძო საბავშო ბაღი თავის ქონებით და შტატით: მიღებულია ზომები შკოლების შენობების შესაკეთებლად; პოლიტ-განათლების საჭიროებისათვის, გამოცხადდა მასწავლებელთა მობილიზაცია. დაარსდა შკოლები წერაკითხვის უცოდინართა გასაწვრთნელად; შეიძინა ბიბლიოთეკა, დაარსდა შევარდენი, შეკერილ იქნა მისთვის ტანისამოსი. იძენს საჭირო ინვენტარს საბავშო ბაღებისათვის; განყოფილების განკარგულებაში გადავიდა საცხენისის ყოფილი სამეურნეო სასწავლებელი მამულით და ქონებით და სხ.

ა) საადგილ-მამულო განყოფ.

3. აგრონომიული ქვეგანყოფილების შტატი ძალიან მცირე იყო. ყავდა მხოლოდ ორი აგრონომი და ორი ინსტრუქტორი. ახლა თელავში არის ერთი გამგე, გამოღმა და ერთიც გაღმა, ოთხი ინსტრუქტორი, ხუთი გამგე მამულებისა.

მაზრაში გახსნილია ხუთი აღნიშნული პუნქტი, ორი მოუწყობელია.

აქ მოთავსებულია სამეურნეო იარაღების საწყობი. განყოფილებას აქვს მაზრაში 4 კულტურული, დიდმნიშვნელობის მქონე მამული. კეთდება საფონდო ვენახი, რომლის სივრცე 150 დესეტინას უდრის. შეკრებილ და შეკეთებულ იქნა დიდძალი სამეურნეო იარაღი. შეძენილ იქნა ახალი იარაღი და აპარატები. გალმა„უბანში დარგულ იქნა 100,000 ცალი ნამყენი ვაზი. ქვეგანყოფილება იღებდა მონაწილეობას დამთეს კომისიაში და დაითესა რამდენიმე ასეული დესეტინა. გროვდება სამკურნალო ბალახი. ყველა მამული დაშუშავებულია წესიერად, აკლია განყოფილებას გუთნის საქონელი. მეშაობას აფერხებს ცუდი პირობები მიმოსვლისა, შემდეგ უსახსრობა, მუშა ხელის სიძვირე და მათი უყოლობა და სხ.

ბ) საფონდო განყოფილება.

იჯარით გასცა საზაფხულო საძოვრები, ცივი გომბორი და კავკ. მთების კალთაზე მდებარე; დაანაწილა რევკომთან ერთად სახნავ-სათესი მიწების ფონდი, შედგა სიები საფონდო მამულიდან ასაკრები ღალისა; ირკვევა რაოდენობა სათიბებისა, ღებულობდა მონაწილეობას დამთეს კომპანიაში, აწარმოებდა საფონდო წისქვილების, დუქნების, შენობების, სათევზაო ადგილების და სხ. იჯარას.

გ) სატყეო განყოფილება

დაიწყო ორგანიზაცია სატყეო ქვეგანყოფილებისა და ამასთან ერთად მცხოვრებთათვის საჭიროელი ტყის მიჩენა, ხეების დადაღვა და სხ. გამოკვლევა იმ ტყეების სივრცის, რომელშიც ამოწურულია მარაგი, სატყეო დარაჯთა შემადგენლობის შეცვლა და სხ. ამას გარდა სწარმოებს შეშის დამზადება შინაურული საშუალებით. აბრკოლებს მუშაობის მიმოსვლის საშუალების უქონლობა.

დ) საადგილ-მამულო პოლიტიკა

ქვეგანყოფილებას დასჭირდა დეკრეტი № 17 თანახმად მიწის რეფორმის გასატარებლად ფართე ნიადაგის მომზადება (საერთოდ იხ. ამ მიმოხილვის პირველი ნაწილი). მაზრა დაიყო რაიონებად. ყოველ კომიტეტს მიუჩინა მიწის მზომელი, საერთოდ მათი რიცხვი მაზრაში 7-დე ადის. ისინი აწარმოებენ კომლეულად მიწის აღწერას. არკვევდა ძალმომრეობის შემთხვევებს მიწის გარშემო. განყოფილება ფაქტიურ მფლობელობას იცავდა და დავას სასამართლოს გადასცემდა გასარჩევად.

4. **სტატისტიკური ბიუროს** მიზანია იმ ცნობების შეგროვება, რომელიც ახასიათებს მაზრის კულტურულსა და ეკონომიურ ცხოვრებას. მოხსენებაში მოყვანილი ცნობების უმთავრესი ნაწილი შეგროვილია 1920 წ. სამეურნეო აღწერის და მისი დამუშავების დროს. მოხდენილია და დამუშავებულია სასკოლო აღწერა მაზრაში. იკრიბებოდა ცნობები შემოდგომის და გაზაფხულის ნათესების შესახებ, აგრეთვე სამეურნეო ძალის და მუშის შრომის ფასებზე. დამუშავებულ იქნა ცნობები ქორწინების, დაბადება და სიკვდილის შემთხვევების შესახებ; მოხდა ქ. თელავის მცხოვრებთა აღწერა, აღრიცხვა წერა-კითხვის უცოდინართა პოლიტ-განათლების ინიციატივით; შედგა ოჯახის პატრონთა პირადი სიები მეურნეობის აღწერის გასაადვილებლად; იძლეოდა მრავალგვარ სტატისტიკურ ცნობებს და სხ.

5. **სასურსათო კომიტეტი** 25 თებერვლიდან არსებობს მაზრაში და მის ხელში გადავიდა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა თელავის მაზრას. იგი ერთის მხრივ აგროვებდა ერბოსა და მომარაგების სამინისტროს მიერ აგენტებისათვის დარიგებულ ფულს და მეორე მხრივ იძენდა სურსათ-სანოვაგეს. მარტში შესდგა სასურსათო კომიტეტის კოლეგია, დაჰყო მაზრა ხუთ რაიონად და ყველგან დანიშნა რაიონული სასურსათო კომისიები. კომიტეტმა საკმაოდ მოიმარაგა სურსათ-სანოვაგე. მან 4000 ფუთი სიმინდი და ორი ათასი ფუთი ხორბალი და სხ. სანოვაგე მიაწოდა ცენტრს. გახსნა ორი სასადილო, რომელშიც ორთა შუა რიცხვით რვაასი კაცი სადილობდა. ულუფად არიგებდა მჭადს, ნავთს 5 გირვანქას, მარილს და სხ. სასურსათო კომისარიატმა შექმნა რწმუნებულების ინსტიტუტი და ერთი ასეთი რწმუნებული თელავის მაზრაშიც გაიგზავნა. ამ რწმუნებულს ჩაბარდა ყველა საწყობი, დაგროვილი ფართალი და სხვა სურსათზე გადასაცვლელი საქონელი. სასურსათო კომიტეტს ამის შემდეგ მარაგი ძალზე შეუმცირდა, ძველი დაილია, ახალი არ იყო და ულუფაც შემცირა. მკათათვეში კი მოსამსახურეთ არაფერი არ მიუღიათ, გარდა სამი კოლოფი პაპიროსისა და ხუთი კოლოფი ასანთისა. 26 თიბათვიდან დაიწყეს პუ-

რის ცხობა და თითო გირვანქობით ურიგდებოდა თელავის მოსამსახურეთ. ოჯახის წევრები კი, როგორც მაზრაში, ისე ქალაქში, არაფერს ღებულობდნენ.

ამრიგად, მოხსენების მიხედვით სურსათის საკითხი, უნუგეშო მდგომარეობაშია, სასურსათო კომიტეტი არ უყურებს რწმუნებულის დანიშვნას კარგის თვალით და საქმის გართულების მიზეზად მიაჩნია ასეთი ინსტიტუტის არსებობა.

6. **ჯანმრთელობის განყოფილებამ** ახალი ხელისუფლების დაძყარების პირველ დღეებშივე დაიწყო მუშაობა, მაგრამ პრაქტიკული შედეგი ამ მუშაობის დღესაც არაა თვალსაჩინო. ჯერ ერთი რომ განყოფილება ახალ ნიადაგზე იქნა დაარსებული, ძეიცვალა, და მეორეთ ბევრმა წვრილმანმა დიდი დრო ძოინდომა. ძალიან შეუშალა ხელი განყოფილებას სპეციალისტი სამკურნალო ძალების უყოლობამ. მხოლოდ ამ მოკლე ხანში შესდგა ექიმთა კოლეგიი. გარდა ამისა, ახლაც ხელს უშლის განყოფილების მუშაობას უსახსრობა, წამლების დროზე მიუღებლობა და ტრანსპორტის მოუწყობლობა. მაგრამ განყოფილებამ მაინც მოახერხა შემდეგი: 1) აღდგენილ იქნა მუშაობა ყველა საფერშლო და საექიმო პუნქტზე, 2) გატარდა მაზრაში აფთიაქების ნაცოხალიზაცია, 3) შემოიღო წამლების გამოწერის ახალი წესი, თანახმად ინსტრუქციისა და აგრეთვე აფთიაქებიდან წამლების გაცემისა, 4) მიიღო ზომები გადამდები სენის გავრცელების წინააღმდეგ, 5) მოხდა მობილიზაცია საძკურხალო პერსონალისა, 6) გახსნა სამი ქვეგანყოფილება: სამკურნალო სასანიტარო და საფარმაციო, აგრეთვე გადატანილ იქნა საავადმყოფო სახაზინო შესაფერ ბინაში, გაიხსნა მაზრაში ორი ახალი საექიმო პუნქტი, ძოეწყო სანიტარული კომისიები, შეძენილ იქნა სტოლი, განზრახულია ამბულატორიის გახსნა და სხ.

7. **კომუნალური მეურნეობის** განყოფილების საალმშენებლო ქვეგანყოფილებას თვალსაჩინო საალმშენებლო ძუშაობა არ უწარმოებია უსახსრობის გამო. შეძუშავებულ იქნა სხვადასხვა დარგში ხარჯთ აღრიცხვა, ოთხლის ჯამი ძილიონებით აღრიცხება. სანიტარულმა ქვეგანყოფილებამ პარტიული კომიტეტის დახმარებით, ძოვაჭრეებს და სპეკულიანტებს იძულებით გააწმენდინა ქალაქის მთავარი არტერიები, ყველა სახაგვე თხრილი ქალაქის და დაწესებულებათა; გაიცა ბრძანება დაუყონებლივ გაიწმიხდოს ეზო და თხრილები და სხ. ტრანსპორტი შეჩერებული იყო, ვინაიდან საკვები ძასალა არ იყო. ცხენების საკვები სურსათი მარაგდება და მით გაუძჯობესდება ტრანსპორტის საქმეც. წითელი ალეიდან მიღებული 19 ცხენი, 17 დროგი 3 ფურგონი, 2 ბარგის ეტლი, გამართული 3 „ტროიკა". ქალაქის ტრანსპორტს შეადგენს 105 ცხენი 6 ჯორი, 18 წყვილი კამეჩი, 16 ვირი, შესაბმელი ცხენი 91. (ამათში 36 ცხენი ცუდია, და 1 ფურგონი გაფუჭებულია). ლინეიკა—5, ურემი 32, პლატფორმა 1, წყლის ბოჭკა 5, მარხილი 5, უნაგირი 6. აქ ჩამოთვლილებში ურემი ზოგი გაფუჭებული და ზოგიც ავადმყოფი—ცხენი 36, ფურგონი 1, ლინეიკა 22, ურემი 11, უნაგირი 29. კომუნალური განყოფილების ხელშია: სასწორი, რომელიც დღიურად იძლევა 40-50 ათასს მანეთს; საბჭოთა საპარიკმახერო, აბანო, საბჭოთა სახლი № 1, და 2, სასაკლაო და სხვა.

8. **სოციალურ უზრუნველყოფის** განყ. მოქმედება გამოიხატა. ყოველ-თვიურ და ერთდროულ დახმარებამი. ივლისის თვეში უნდა მისცემოდა ყოველთვიური ფულით დახმარება 281 პირს, თითოს 11250 მან. სულ 3,161, 250 მან. მაგრამ რადგან ფული არ იყო სრულიად, დაკმაყოფილებულ იქნა მხოლოდ ნაწილი: 1,327,500 მან. დარიგდა. ახლად დაენიშნა 30 ოჯახს თვიური დახმარება: თითოს 15000—30000 მან. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. ერთდროული დახმარება ივლისში მიეცა 16 პირს—460000 მან. წითელი არმიელთა 34 ოჯახს დაენიშნა ყოველთვიური დახმარება თითოს 9,000-15.000მ. საძხედრო კომისრისაგან მიღებული იყო 286 წითელ არმიელის სია, რომელთა შეესახებ განყოფილება აგროვებს ცნობებს. რიგდებოდა ღარიბებში უსასყიდლოთ წამლები და სხვ.

9. **საფინანსო განყოფილების** მოქმედება პირველი დღეებიდანვე დაიწყო. თანხა არ ჰქონდა სალაროში. მხოლო მ. ს. ს. კომისარიატიდან მიღებული ფულით აკმაყოფილებდა დროებით თითქის ყველა განყოფილებას. გახსაზღვრული ინსტრუქცია და სხ. განყოფილებას არ ჰქონია. 1 აგვისტომდე განყოფილებაში თანხების მდგომარეობა ასეთი იყო:

ა) სალაროს ანგარიში:

1) გადატრიალების დროს ერობის სალაროში აღმოჩნდა . . . . . 1,404,273 მან.
2) 1 ავგვისტომდე შემოვიდა. 332.459,636-76 კ.
3) იმავე დროს გავიდა . . 324,905,728-08-
4) დარჩა 1 აგვისტოსათვის . 8,958,181-68 კ.

ბ) მოძრავი ქონების ანგარიში.

1) 1 აგვისტომდე შეძენილ იქნა მოძრავი ქონება . . . . . 273,000 მან.
2) ქონების ღირებულებიდან ჩამოწერა 10,000-
3) 1 აგვისტოსთვის დარჩა . . 263,000 მან.

გ) რევკომის აფთიაქების ანგარიში:

1) შემოვიდა 1 აგვისტომდე . 2,825,694 მან.

2) ამავე ანგარიშით გავიდა . 1,134,201 მან.
3) დარჩა . . . . . 1,691,493 მან.

დ) ანგარიშ ვალდებულ პირთა ანგარიში.

1) გაცემულია 1 აგვისტომდე . 58,669,332-10.
2) წარმოდგენილია ანგარიში . 17,347,337-60.
3) რჩება ანგარიშ ვალდებულ პირებზე . . . . . 41,321,994-50.

ე) ანგარიში სხვადასხვა პირთა და დაწესებულებათა.

1) გაცემულია სესხად . . . . 179,371,486.
2) შემოვიდა ამ ანგარიშზე . . 135,918,311.
3) რჩება . . . . . 43,453,175.

ვ) ანგარიში ხარჯებისა.

1) 25 თებერვლიდან 1 *VIII*-დე დაიხარჯა . . . . . 105,068,602-58.
2) ამ ხარჯების ანგარიშზე შემოვიდა . 182,822-
3) ნაშთი გაწეული ხარჯებისა . . . . . 104,886,780-58.

ზ) ან ში გარდამავალი თანხების.

1) ამ ან-შზე შემოვიდა 1-აგვ-დე . 74,200 მან.
2) ,, ,, გავიდა ,, ,, ... 23,200-
3) რჩება . . . . . 51,000.

თ) გაცემული საქონლის ანგარიში აგრონ. განყ-
1) ამ ანგარიშზე შემოსულია . . 24,000 მან.

ი) შემოსავლის ანგარიში.

1) შ. ს. ს. კომისარიატიდან მიღებულია . . . . . 190,500,000 მან.
2) სხვადასხვა შემოსავალი . 7,208,038-76 კ.

სულ . . . 197,708,038-75.

კ) ანგარიში სასწავლო ნივთებისა.

1) შეძენილია სასწავლო ნივთები . 30,000 მან.

ლ) ან-ში შეკეთებისა.

1) შენობების შეკეთებაზე დაიხარჯა . . . . . 562,000 მან.

ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ შემოსავალი რევკომს, მხოლოდ შ. ს. ს. კომისარიატიდან ჰქონია. სხვა კომისარიატებიდან 1 აგვისტომდე, არაფერი მიუღია. გარეშე შემოსავლის რაოდენობაც ძალიან მცირეა.

16 მაისს მოწვეული მაზრის თემთა რევკომების თავმჯდომარეების ყრილობას დაესწრო 47 კაცი. 41 თემის რევკომის თავმჯდომარე, 6 მაზრის რევკომიდან. ადგილებიდან მოხსენებების დროს გამოირკვა შემდეგი:

ძველი გავაზის თემში მცხოვრებნი კმაყოფილნი არიან ახალი წესწყობილებით, მხოლოდ ნაკლებობაა სხვა და სხვა სურსათისა და საგნებისა.

ფშავლის თემში მუშაობა კარგად მიმდინაეერეობს. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სამოსამართლო ორგანო, ყოველი საქმე კარგად ირჩევა. რევკომმა შაბათობის საშუალებით, შეაკეთა მდინარე სტორი. დამთეს კომისიას გადაეცა 250 ფუთი ხორბალი დასათესად. სცდილობს რევკომი ელექტრონის სადგურის გამართვას, პარტკომი და რევკომი შეთანხმებით მუშაობს. საჭიროდ მიაჩნიათ სასადილოს დაარსება. ზომებია მიღებული დეზერტირების, ქურდების და ყაჩაღების და კონტრრევოლიუციონერების წინააღმდეგ. საჭიროა მარილი, შაბიამანი, გოგირდი, ფართალი. დანარჩენი თემის რევკომების თავმჯდომარეთა მოხსენებიდან, რომლის შესახებ, ცალცალკე ოქმი არ შემდგარა, გამოირკვა რომ: მცხოვრებნი თითქმის ერთხმად ესალმებიან ახალ წესწყობილებას, უჩენენ დიდ დახმარებას ღარიბსა და ღატაკს, აგრეთვე წითელ არმიელთა ოჯახებს, ხნავენ და სთესენ მათ მიწებსა, გადმოაქვთ შეშა და სხვ. 1 მაისის დღესასწაული ჩატარდა მხიარულად. ხელს უწყობენ შკოლების მოწყობას და განათლების გავრცელებას, ხსნიან სამკითხველოებს, აკეთებენ გზებს, მართავენ **შაბათობას**, სასტიკ ზომებს იღებენ დეზერტირების და ქურდ-ყაჩაღების წინააღმდეგ. ცდილობენ რევკომებთან სასადილოების გახსნას. პარტკომი და რევკომი მუშაობს შეთანხმებით. ყველა რევკომს ესაჭიროება მარილი, ნავთი, შაბიამანი, გოგირდი და ფართალი. **ყვარელის** რევკომს შეუკეთებია დურუჯის წყლის ნაპირები, თელავის სამაზრო რევკომის დახმარებით. გახსნილია სახერხი ქარხანა, მიღებული იყო ზომები დაემუშავებიათ ყველა დაუმუშავებელი მამული. აგრეთვე დასთესეს საფონდო მიწები. **კონდოლში** შეკეთდა კისისხევის ნაპირები, შეძენილ იქნა ორი საფეიქრო მანქანა და ხუთი ფოლადის სავარცხელი. ქსოვენ სამნაირ შალს. არაა საკმარისი ერთი შკოლა, თხოულობენ მეორეს. **აკურის** თემის მცხოვრებნი განიცდიან დიდ გაჭირვებას წყლის უქონლობით. მიღებულია ზომები რომ წყალი ჩქარა იქნას გაყვანილი. სოფელს ძალიან აწუხებენ ლტოლვილნი. მეტი ნაწილი მათხოვრობს, სამუშაოს გაურბიან. **შალაურში** შეკეთდა გზები, გაყვანილ იქნა წყალი. **ვარდისუბანში** არაა საკმარისი სახნავ-სათესი მიწა. რადგანაც **გულგულას**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემი დაისტყვა ძლიერ, სოფელი გაჭირვებას განიცდის, თხოულობენ დახმარებას სურსათ-სანოვაგით, სათესლე სიმინდით და ხორბლეულობით. საჭიროა წყლის გაყვანა. **ვაჩნაძიანის** თემში საქონლის უყოლობის გამო ვერ იქნა დახნული საკმაო მამული. **კადაურში** განაახლეს შკოლის შენობა, აქვთ მცირე ზომის სახნავ-სათესი; სარგებლობდენ ტურისციხის მამულებით, მაგრამ შეეცილენ შილდელები. **ურიათუბანშიც** დიდათ ესაჭიროებათ წყალი, საჭიროა აგრეთვე აბანო. **ქვემო ალვანის** თემში თხოულობენ მთებზე დარაჯების დაყენებას, საზღვრების გასამაგრებლად. ამ საჭიროებას ხსნიან იმით, რომ ყოველ წლივ ეცემიან მათ ლეკები და სხვა მთიულნი, სტაცებენ საქონელს, ხოცავენ მათ. თხოულობენ 100 დესეტინა მიწას სახნავ-სათესად ლალისყურის აგარაკში.

ადგილებიდან მოხსენების შემდეგ, მაზრის რევკომის წევრებმა გააკეთეს საინფორმაციო ხასიათის მოხსენებანი, რევკომის მოქმედების და იმ გეგმის შესახებაც, რომელიც დასახული ჰქონდა მაზრრევკომს ცხოვრებაში გასატარებლად მაზრის მაშტაბით.

ამ მოხსენებაში, ვინაიდან მაისამდე, საერთოდ ბევრი არსად გაკეთებულა, მაზრის რევკომის მოხსენებაც უფრო დეკლარატიული ხასიათის იყო, და შეიცავდა ნაწილობრივ იმ მასალას, რომლის შესახებ ლაპარაკი გვქონდა ზევით.

ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ვინაიდან თელავის მაზრაში ადგილი ჰქონდა გახშირებულ ბანდიტიზმს, პირველ ხანებში, საში-ში იყო ალავერდის მონასტრის კედლებში ძვირფასი განძეულობის დატოვება და ვინაიდან დარაჯების დაყენებაც შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ თელავის მაზრის რევკომმა, ეპისკოპოზი პიროსის თანხმობით, საგანგებოდ შემდგარი კომისიის მიერ შედგენილი აქტის თანახმად (კომისიაში შედიოდა მაზრის რევკომის წარმომადგენელი, თავმჯდომარე, კომპარტიის პასუხისმგებელი მდივანი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი, შინაგან მართველობის განყოფილების გამგე), დაბეჭდილი ტომრებით, ალავერდის მონასტრის განძეულობა, გადატანილ იქნა თელავის ბაზინაში.

რაც შეეხება **მილიციას** მაზრაში, მთელი მაზრა დაყოფილია ხუთ სამილიციო რაიონად, ყველა რაიონში დამთავრებულია მილიციის ორგანიზაცია და მუშაობა სწარმოებს ნორმალურად.

ყველა კანონიერ განკარგულებას დაუყოვნებლივ ასრულებს მილიცია, ბოროტმოქმედება არაა გახშირებული. თუმცა ადგილი აქვს აჯანყებას.

მილიციის მდგომარეობა მატერიალურის მხრივ არაა სასურველ ნიადაგზეა დაყენებული, დისციპლინა დაცულია, შემადგენლობა შერჩეულია.

მაზრის რევკომი არ აცხადებს საყვედურს მილიციის სარდლობაზე.

10 ნოემბერს წარმოდგენილი მოხსენება სამაზრო რევკომის მოღვაწეობის და მაზრის მდგომარეობის შესახებ შემდეგ სურათს გვიხატავს: უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თელავის მაზრის სადავე, ხელში ჩაუვარდა გამოცდილ, პატიოსან და მუშა პირებს. ამან ძალიან შეუწყო ხელი მაზრის საქმეების მოგვარებას. შინაგან სამართველოს განყოფილება ძალიან კარგად არის მოწყობილი და მუშაობს დაუბრკოლებლივ. თვით ცენტრალური რევკომის მთელი აპარატი გამართულია და მხოლოდ ზოგიერთს უშლის ხელს საჭირო საკანცელარიო ნივთების და დავთრების უქონლობა. მატერიალურად მოსამსახურეთა მდგომარეობა არ წასულა წინ. ამ მხრივ არც მილიცია გაუმჯობესებულა.

სოფლის რევკომები (რომელთა რიცხვი დღეს 30-ა) დიდ გაჭირვებას განიცდიან, რადგან მათ საკმაო ფული, საკანცელარიო ნივთები და სურსათი არ მოეპოვებათ. მაზრის რევკომი ცენტრალური მთავრობის ყველა დეკრეტს, ბრძანებას და სხვას დაუყოვნებლივ უგზავნის სოფლის ორგანოებს და წესიერად სრულდება იგი. მათ მიღებას დროზე ხელს უშლის ფოსტის, ტრანსპორტის მოუგვარებლობა. სანიტარული გადასახადი სავსებით აკრეფილია. ხვნა-თესვისათვის ემზადება მთელი მაზრა. სხვა და სხვა სახის შრომის ბეგარა, მაგალითად: კახეთის რკინის გზის შეკეთება, ხათბობი მასალის დამზადება გატარებულ იქნა ცხოვრებაში. სპეკულიაცია მძვინვარებს: აუარებელი წვრილი ვაჭარი დაძვრება სოფლად და ცვლიან ძველებს სურსათ-სანოვაგეზე.

ეკონომიური განყოფილების მოხსენების თანახმად 1 ნოემბრამდე მაზრაში შემდეგი ნაბიჯები გადადგმულა:

შემუშავდა და განაწილებულია წყალსადენი სოფელ ყვარელში, შენდება წყალსადენი ხოდაშენში, გაჰყავთ წყალსადენი ახალშენში და სწარმოებს შარა გზის შეკეთება თელავიდან ვაჩნაძიანამდე. თავდება შეკეთება თელავის ელექტრონის სადგუ-

რისა, მოტორი მუშაობს, სწარმოებს ქონის შესყიდვა და დამზადებულია საპონი, საბჭოს ქარხანაში; გარეცხილია მატყლი საბჭოთა საქსოვი ქარხნისათვის, მუშაობს ყვარელში საბჭოთა გიდრო სადგური, მზადებაა შპალების დასახერხად და სხ.

მაზრის სასურსათო კომიტეტის ცნობით ქალაქის მუშა-მოსამსახურეთ აძლევდა თითო გირვანქა პურს. შემდეგ მიაწოდა პაპიროსი, თამბაქო, ასანთი, ნავთი, მარილი. ულუფა ეძლეოდათ აგრეთვე სოფლის რევკომებს: განაწილებას აწარმოებდა მუშათა კოოპერატივი, რომელიც ახლად დაარსდა თელავში. ტრანსპორტის მოუწყობლობა აბრკოლებს კომიტეტის მუშაობას. სასურსათო კომიტეტის მოღვაწეობა ვერ აკმაყოფილებს მაზრას.

სტატისტიკური ბიურო ადგენდა 1 სექტემბრიდან ნატურალური გადასახადის სიებს. გატარდა რეგისტრაცია სოფ. ვარდისუბანში. უკვე დამზადებულია 20 სია. შეკრებილია ცნობები მოსავლის შესახებ. დაიწყო თემის სტატისტიკოსების დანიშვნა (ჯერჯერობით დანიშნულია 5 თემში). ასრულებულია თელავის შრომის განყოფილების დავალება სიების შედგენის შესახებ მამაკაცებისა 18—50 წ. საბეგრო მობილიზაციისათვის.

რევკომის შინაგან მართველობის განყოფილება წესიერადაა მოწყობილი. მან ენერგიული ზომები მიიღო რაიონებში და თემებში საქმის წარმოების და საერთოდ მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად. ზოგიერთი რევკომი, რომელშიც არასასურველი პირი იყო არჩეული, გაიწმინდა. ინფორმაცია მაზრაში საკმაოდ კარგადაა დაყენებული და ამ მხრივ დიდი მასალა გროვდება განყოფილებაში. იძულებითი მუშაობა ყველა სოფლის რევკომთან მოწყობილია. გაჰყავთ სამუშაოზე ისინი, ვინც შემჩნეულია დანაშაულობის ჩადენაში. ასეთი სახის მუშაობა უფრო გაფართოვდება, როცა სახალხო მოსამართლეები შეუდგებიან მუშაობას. სამოქალაქო მდგომარეობის ჩამწერი განყოფილება ჯერ კიდევ არაა ყველგან დაარსებული. მიზეზი ისაა, რომ არაა საჭირო დავთარი და სხვა მასალა, განყოფილებამ დიდი ყურადღება მიაქცია მილიციის შემადგენლობას. პირველ ხანებში მაზრაში ყაჩაღობას, ძარცვა-გლეჯას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ[illegible] რამ მათ წინააღმდეგ მიღებულმა ენერგიულ[illegible] მებმა ნაყოფი გამოიღო. დეზერტირობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ დღეს ეს სენი, თითქმის აღმოფხვრილია.

სამწუხაროდ ყველა განყოფილების ნამუშევრის ჯამი არაა ჩართული მოხსენებაში და ამიტომ ძნელია ისეთივე ვრცელი სურათის გადაშლა, როგორც ეს მოსახერხებელი გახდა პირველი მოხსენების განხილვის დროს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთლიანი მოხსენება მთელი რევკომის მოღვაწეობის შესახებ, კომისარიატს მარტო ერთი მოეპოება (ზევით მოყვანილი) და ეს იმის მიუხედავად, რომ მაზრის რევკომი ვალდებულია სამ თვეში ერთხელ წარმოადგინოს მოხსენება. ამრიგად—თელავის მაზრის რევკომის მოღვაწეობის სრული სახე, ჩვენ გვაქვს მხოლოდ აგვისტოს დამლევამდე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, თავისი ზედამხედველობის დროს, დიდი უკანონო მოქმედება მაზრის რევკომისა არ შეხვედრია. იყო რამდენიმე ნეცდომა, დეფექტი, რასაც ინსტრუქტორ რწმუნებულების და საგამომძიებლო კომისიების გზავნით ასწორებდა. თელავის მაზრაში, ადგილი ჰქონდა მხოლოდ შრომის ბეგარის ზედმეტ მოთხოვნილებას, რასაც თავის დროზე მიაქცია ყურადღება კომისარიატმა. რევკომების შემადგენლობის შესახებ, აქაც ისე იქცეოდა შ. ს. ს. კომისარიატი, როგორც უკვე განხილულ მაზრებში. თავის დროზე გზავნიდა საჭირო თანხას, როგორც კი მას კომისარიატი მიიღებდა, მაგრამ ის გარემოება, რომ რევკომის სხვა განყოფილებები უფულოდ იყვენ და ეს კი საქმეს აბრკოლებდა და სესხის სახით შ. ს. ს. კომისარიატიდან მიღებულ თანხებს ხარჯავდენ და შემდეგ კი დაბრუნება გვიანდებოდა, ეს გარემოება ხელს უშლიდა რევკომს ადმინისტრატიული და სხვა სავალდებულო ფუნქციების წესიერად [illegible]ლებას. ყოველ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რ[illegible] თელავის მაზრის შესახებ საყვედური არა აქვს სათქმელი კომისარიატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

მე-XXIII-ე №-ში მოთავსებულ მასალებისა:

1) დადგენილება № 104 საქრ. სოც. სიბჭ. რესპუბ. რევ. კომიტეტისა სახელმწიფოს მიერ კერძო მეურნეობისათვის გაცემულ საქონლისა და ქონების თვისის გადახდევინების შესახებ.

2) » № 106 საქრ. სოც. სიბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა რევოლიუციონური ტრიბუნალის გაერთიანების შესახებ.

3) » № 107 საქ. სოც. სიბჭ. რესპ. რევ. კომ. განათლების დარგში მომუშავეთა დაბრუნებისა თავიანთ სპეციალობის სამუშაოზე გვ. 3—4.

4) დებულება საქ. სოც. სიბჭ. რესპ. რევ. კომიტეტ. საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს შესახებ.

5) » საქ. სოც. სიბჭ. რესპ. რევ. კომიტ. ბორჯომის სახელმწიფო მამულის გამგებლობის შესახებ.

6) ბრძანები სამხედრო და საზღვაო, შინაგან საქმეთ და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო

7 კომისარიატებისადმი.

) დადგენილება შინ. საქ. სახ. კომისარიატისა ქ. ფუდვის (რედუტკალეს) კომუნისტური პარტიის კომიტეტის შუამდგომლობა ქალაქ ფუდვის ქალაქ თოთზე ადმინისტრატიულად მიწერის შესახებ.

8) » სენაკის მაზრის კინჩხა-გორდის თემთა მოსახლეობის შუამდგომლობა ხსენებულ მაზრიდან გამოყოფის და ქუთაისის მაზრაზე მიწერის შესახებ.

9) » » საოფაქიო-ეწერის (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრებთა შუამდგომლობა ჯვარის თემიდან ცალკე თემად გამოყოფის შესახებ.

არა-ოფიციალური განყოფილება.

10 ადმინისტრატიულ ერთეულთა განყოფილებაში (შემდეგი) გვ. 8—10.

11) ბინის საკითხი თბილისში გვ. 10—14.

12) მოხსენება შ. ს. ს. კომისარიატის საინსტრუქტორო საინფორმაციო განყოფილებისა. გვ. 14—18

13) სამაზრო რეგვ. თავმჯ. ერილობა. გვ. 18—22

14) მაზრის რევკომებში გვ. 22—25.

15) შეკითხვები და პასუხი. გვ. 25—27.

ნ. დ. ს. კ. ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. ტირაჟი—3000.